ევროკომისია

ბრიუსელი, 12/05/2010
SEC(2010) 518

ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტი

რომელიც თან ახლავს

ევროკომისიის კომუნიკაციას ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მონიტორინგი

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება 2009 წლის განმავლობაში:
ანგარიში საქართველოს შესახებ
{COM(2010)
207} {SEC(2010)
513} {SEC(2010)
514} {SEC(2010)
515} {SEC(2010)
516} {SEC(2010)
517} {SEC(2010)
519} {SEC(2010)
520} {SEC(2010)
521} {SEC(2010)
522} {SEC(2010)
523} {SEC(2010)
524} }{SEC(2010)
525}

1. წინაპირობები და საერთო შეფასება

საქართველოს და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობა 1996 წელს, ,,პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმების გაფორმებით დაიწყო. ამ შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა, 2006 წლის ნოემბერში ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმებული ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

ჩატარდა შეხვედრები ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საბჭოს, თანამშრომლობის კომიტეტის და ვაჭრობის, ეკონომიკის და იურიდიული საკითხების, სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების ქვეკომიტეტების ფარგლებში; ასევე, 2009 წლის განმავლობაში გაიმართა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ადამიანის უფლებების შესახებ დიალოგის ორი რაუნდი.

წინამდებარე დოკუმენტში ასახულია ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის შესრულების დინამიკა 2009 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, თუმცა, ანგარიშში ამ ვადის გასვლის შემდეგ მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენებიცაა განხილული. დოკუმენტი <u>არ</u> წარმოადგენს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის ზოგად მიმოხილვას. რეგიონული და სხვადასხვა სექტორში მიმდინარე მრავალმხრივი პროცესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დამატებით იხილეთ ანგარიში სხვადასხვა სექტორის შესახებ.

ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, გააღრმავონ და გააფართოვონ ურთიერთობები. აღმოსავლეთ პარტნიორობის პარალელურად და მის ფარგლებში, ევროკავშირმა დაიწყო საქართველოსთან ოფიციალური ურთიერთობები უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად, 2010 წლის მაისში ევროკავშირმა დირექტივები დაამტკიცა. ასოცირების შესახებ სამოვავლო შეთანხმების ფარგლებში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები მას შემდეგ დაიწყება, რაც ყველა აუცილებელი პირობა იქნება შესრულებული.

2009 წლის განმავლობაში საქართველოს მიერ ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების შესრულებაში წინსვლა აღინიშნებოდა, განსაკუთრებით სამართლის სისტემის რეფორმირებაში, მცირემასშტაბიანი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვაჭრობის გამარტივებასა და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში. მთავრობამ განსაკუთრებული ძალისხმევა მოანდომა სამართლის სისტემის რეფორმირებას. მთავრობამ მოიწონა სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომლის მიღება ჯერ კიდევ 2007 წელ იყო მოსალოდნელი, და კოდექსი ძალაში შევა 2010 წელს. კანონმდებლობის უწყვეტი და ეფექტური განხორციელება რეფორმების გრძელვადიანი წარმატების გარანტიას შექმნის, რაც ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების წინაპირობაა. აუცილებელია, აგრეთვე, რომ საქართველომ გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმების პროცესი და მოახდინოს დემოკრატიული ინტიტუტების განმტკიცება, განსაკუთრებით პოლიტიკური პლურალიზმის და მედიის თავისუფლების კუთხით. სამომავლოდ შესასრულებელ ძირითად ამოცანებს შორისაა სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, სასოფლო–სამეურნეო განვითარება, სანიტარიის და ფიტოსანიტარიის ჩათვლით, და საჯარო სამსახურის რეფორმა.

2009 წლის აპრილიდან ივლისამდე არასაპარლამენტო ოპოზიციის ორგანიზებით მასობრივი დემონსტრაციები იმართებოდა. ხელისუფლება არ ერეოდა დემონსტრაციებში. მას არ უცდია ძალის გამოყენებით დემონსტრაციების დაშლა, რაც უდაო წარმატებაა 2007 წლის მსგავს მოვლენებთან შედარებით. დემოკრატიული რეფორმების ,,მეორე ტალღა," რომელიც პრეზიდენტმა 2008 წელს გამოაცხადა, 2009 წლის განმავლობაშიც გაგრძელდა. ,,მეორე ტალღა" გულისხმობს საკონსტიტუციო ცვლილებების საშუალებით პარლამენტის როლის გაზრდას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებაში, ოპოზიციის მეტ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საარჩევნო კოდექსის ცვლილებას, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდას და მედიის მეტ თავისუფლებას. საპარლამენტო ოპოზიციას მეტი ძალაუფლება მიენიჭა. მისი ზოგიერთი წარმომადგენელი დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო უშიშროების საბჭოს გაფართოებულ სხდომებში, თუმცა შემდგომში, ზოგიერთი მათგანი პროცესს გამოეთიშა და ,,მეორე ტალღას" ფასადური უწოდა. ქართულ საზოგადოებაში არსებული პოლარიზაცია კვლავაც რჩება ძირითად დაბრკოლებად

ჭეშმარიტი პოლიტიკური რეფორმის გასატარებლად და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამ კონტექსტში მიმდინარე რეფორმების შედეგი ჯერ კიდევ არ არის აშკარა.
2008 წლის აგვისტოს ომმა, საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, გაზარდა წნეხი მთავრობაზე ეკონომიკის სფეროში და გაართულა მთავრობის მიერ დასახული გრძელვადიანი სოციალური და ეკონომიკური ამოცანების შესრულება. 2009 წლის პირველ ნახევარში შიდა მოთხოვნა შემცირდა, იკლო საზღვარგარეთიდან გადმორიცხვების მოცულობამ და პირდაპირმა საგარეო ინვეტიციებმა. ეკონომიკური გაჯანსაღების ნიშნები მხოლოდ 2009 წლის მესამე კვარტალში გამოჩნდა, ხოლო 2009 წლის განმავლობაში ინფლაცია დაბალ ნიშნულზე იყო შენარჩუნებული. 2009 წელს მოსალოდნელი იყო რეალური მშპ–ს 3.9%–ით შემცირება.
2009 წლის მეორე ნახევარში საქართველომ განაცხადა, რომ მზადაა შეასრულოს, ევროკავშირის ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად იყო აუცილებელი. გადაიდგა გარკვეული წარმატებული ნაბიჯები, კერძოდ, მომზადდა აუცილებელი სტრატეგიული რეფორმის გეგმების პროექტები. რეფორმების შეთანხმებული გეგმის საბოლოო ვარიანტის შემუშავების, მიღების და განხორციელების საქმეში მეტი ძალისხმევის გამოჩენა შესაძლებლობას მისცემს საქართველოს, მოემზადოს ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოლაპარაკებების დასაწყებად.
ღია დიალოგის წარმართვით და ოთხი თემატური პლატფორმის სამუშაო პროგრამებში წვლილის შეტანის გზით, საქართველოს ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და კონსტრუქციული წვლილი შიტანეს **აღმოსავლეთ პარტნიორობის** ფარგლებში შექმნილი მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოში. ამ პროცესმა, აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებულ ორმხრივ კომპონენტებთან ერთად, წვლილი შეიტანა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განმტკიცებასა და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განხორციელებაში.

2. პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა

დემოკრატია და კანონის უზენაესობა

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებების ოფისის 2008 წლის ანგარიშების გამოქვეყნების შემდეგ, სადაც აღწერილია **არჩევნებისას** აღმოჩენილი დარღვევები, მთავრობამ საარჩევნო კოდექსის რეფორმირების პროცესი წამოიწყო. კოდექსზე მომუშავე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრები ჩაერთნენ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის მუშაობაში, თუმცა პარტიები ვერ შეთანხმდნენ თბილისის მერის პირდაპირი არჩევნებისთვის დაწესებულ ბარიერზე. პირველ რაუნდში გამარჯვებისთვის დაწესდა 30%–იანი საარჩევნო ბარიერი, რაც ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობის აზრით ძალზე დაბალი იყო. საარჩევნო კოდექსში შეიცვალა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევის პროცედურა, თუმცა განხორციელებულმა ცვლილებებმა საკმარისად არ უზრუნველყო ადმინისტრაციული რესურსების პოტენციური გამოყენებისგან დაცვა. 2010 წლის მაისის ადგილობრივი არჩევნები საარჩევნო კოდექსის რეფორმირების და საერთაშორისო რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელოვანი ინდიკატორი იქნება.
ახალი **კონსტიტუციის** პროექტზე სამუშაოდ, რასაც ,,დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღა" ითვალისწინებს, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიები და სამართლის ექსპერტები. საკონსტიტუციო კომისიის მიზანია ახალია, კონსტიტუციის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს ძალაუფლების მკაფიო განაწილებას, კონტროლის (checks and balances) უკეთეს სისტემას, უფრო დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას და ადამიანის უფლებების უკეთ დაცვას. კონსტიტუციის პროექტის პირველი ვარიანტის შემუშავება 2010 წლის შემოდგომისთვისაა დაგეგმილი.
ოპოზიციური პარტიების მიერ ორგანიზებული დემონსტრაციების შემდეგ, 2009 წლის ივლისში შესწორებები შევიდა ,,კანონში შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" და ,,კანონში პოლიციის შესახებ," რამაც გარკვეული შეშფოთება გამოიწვია. შესწორებების საფუძველზე შეიზღუდა შეკრების თავისუფლება და დეტალურად არ განიმარტა დემონსტრაციების დაშლისას სამართალდამცავი

სტრუქტურების მიერ არალეტალური იარაღის გამოყენების წესი. ამასთან, სახალხო დამცველმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა წარმოადგინეს ანგარიშები დემონსტრაციებისას ოპოზიციის მხარდამჭერთა წინააღმდეგ მუქარის და მათი ცემის ფაქტების შესახებ. ოპოზიციის წინააღმდეგ ძალადობის ეს შემთხვევები ხელისუფლებას სათანადოდ არ გამოუძიებია, არც ძალადობის ინიციატორები დასჯილან. დემონსტრაციებისას ზოგიერთი პოლიტიკური ოპონენტი დააკავეს და, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს. ამ სავარაუდო დანაშაულის და ბრალდებების საფუძვლიანი გამოძიება იქნებოდა მყარი ინდიკატორი იმისა, რომ სასამართლო სისტემა გაუმჯობესდა.

2009 წლის განმავლობაში აღინიშნებოდა წინსვლა სისხლის **სამართლის** სისტემის რეფორმირების პროცესში, რაც გამოიხატებოდა 2009 წლის ოქტომბერში, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღებით (შემუშავებიდან ორი წლის თავზე). კოდექსი 2010 წლის ოქტომბერში უნდა შევიდეს ძალაში და მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შეიტანოს დღევანდელ სისხლის სამართლის საქმეთწარმოებაში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის საქმეებში ნაფიც მსაჯულთა სისტემის გამოყენების კუთხით. სისხლის სამართლის ახალ კოდექსს შემოაქვს სიღრმისეული ცვლილებები სისხლის სამართლის საქმეებში სამართლის განხორციელების კუთხით და ეს სერიოზული გამოცდა იქნება; ეს ცვლილება მოითხოვს მოსამართლეთა, სასამართლოს თანამშრომელთა და სისხლის სამართლის საქმეთწარმოების მონაწილეთა მუდმივ და აქტიურ მომზადებას.

სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების კუთხით არ არის უზრუნველყოფილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეების თანამდებობაზე უვადო (სიცოცხლის ბოლომდე) დანიშვნა, რადგან ეს საკონსტიტუციო ცვლილებებს მოითხოვს და ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესში იქნება გათვალისწინებული. საოლქო და სააპელაციო სასამართლოებში მოსამართლეთა ვაკანსიები თანდათანობით, მოსამართლეთა დანიშვნის ახალი პროცედურის თანახმად ივსება, რაც მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი სკოლაში 18–თვიანი მომზადების კურსის გავლას ავალდებულებს.

რაც შეეხება უფრო **ხელმისაწვდომი სამართალის უზრუნველყოფას,** ახალი სასჯელაღსრულების და იურიდიული დახმარების სამინისტროს უფასო იურიდიული დახმარების სამსახური მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოქალაქეებს, დაუცველი ჯგუფების ჩათვლით, სთავაზობს დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებში და იურიდიულ კონსულტაციას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საკითხებში. 2009 წელს გაიხსნა ორი ახალი ოფისი, ხოლო 2009 წლის მაისიდან ამ სამსახურმა 180 ძირითად თანამშრომელთან ერთად, 123 კერძო იურისტის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა შექმნა. იურიდიული სამსახურის ორენოვანი – ქართულ–ინგლისური – ვებსაიტი 2009 წლის იანვრიდან ფუნქციონირებს და მოქალაქეებს ონლაინ კონსულტაციის მიღების საშუალებას აძლევს. იურიდიული დახმარების სამსახურმა დაბეჭდა საინფორმაციო ბუკლეტები რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და იმ განყოფილებებში დაარიგა, რომლებიც უმცირესობებით დასახლებულ რაიონებს ემსახურებიან.

სახელმწიფო მოხელეთა სამსახურის რეფორმა 2009 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა. საჯარო სამსახური საბჭო, რომელიც ამ სფეროში საცდელ პროექტებზეა პასუხისმგებელი, 2007 წლის შემდეგ არ შეკრებილა, ხოლო საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების ონლაინ სისტემის დიზაინით და მათი განახლებით შემოიფარგლება. პარლამენტმა სცადა სიტუაციის გამოსწორება და შეიმუშავა საჯარო სამსახურის ახალი კოდექსი. მას შემდეგ, რაც 2009 წლის ნოემბერში საჯარო სემინარზე განხილვისას კოდექსი მკაცრად იყო გაკრიტიკებული, ის პარლამენტში განსახილველად არ წარდგენილა.

დეცენტრალიზაციის სფეროში მხოლოდ რამდენიმე კონკრეტული წარმატებული ნაბიჯი გადაიდგა. დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული სტრატეგიის პროექტი კვლავ ტექნიკურ ეტაპზე რჩება. 2009 წლის ბოლოსთვის შემოთავაზებული იყო საკანონმდებლო ცვლილებები თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციულ საკითხებში და მუნიციპალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ წესებში. ეს ცვლილებები შეეხებოდა რეგიონული განვითარების სტრატეგიის მოსალოდნელ მიღებას 2010 წლის მარტში. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი – დაფინანსების სისტემის დეცენტრალიზაცია – საერთოდ არ ყოფილა განხილული; ხარჯების 90%–ის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უმრავლესობა ცენტრალურ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.

კორუფციასთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების და რეფორმების ხარჯზე საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპის საბჭოს ,,გრეკოს" რეკომენდაციების შესასრულებლად. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებები მოიცავს იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. 2009 წლის იანვარში მიღებული იყო კანონი კონტროლის პალატის შესახებ, შესწორებები შევიდა კანონში საჯარო სამსახურში ინტერესთა კონფლიქტის და კორუფციის შესახებ. ამ შესწორებული კანონების ეფექტიან აღსრულებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება რეფორმების პროცესის განმტკიცებაში.

ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები

საქართველო **ადამიანის უფლებების სფეროში** არსებული ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებების და მათი დამატებითი ოქმების მონაწილეა. 2009 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციას და მის დამატებით ოქმს. 2003 წლიდან საქართველო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მონაწილე მხარეა. დღეისათვის საქართველო აგვიანებს ოთხი სავალდებულო პერიოდული ანგარიშის წარდგენას ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტებში . გაეროს სპეციალური პროცედურების ჩასტარებლად ღია მოწვევის გაგზავნის თვალსაზრისით წინსვლა არ აღინიშნება. ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგი ადამიანის უფლებების სფეროში, რომელიც 2009 წელს დაიწყო, ძირითადად დაკავების საკითხებს შეეხება.

ახალი სახალხო დამცველი **(ომბუდსმენი)** 2009 წლის სექტემბერში დაინიშნა. მოხდა სახალხო დამცველის აპარტის გაძლიერება, რომ მას შეძლებოდა ახალი ფუნქციის – პრევენციის ეროვნული მექანიზმის – შესრულება; მიუხედავად სერიოზული საბიუჯეტო შეზღუდვებისა, მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯზე სახალხო დამცველის 2010 წლის ბიუჯეტი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა. სახალხო დამცველის 2009 წლის მოხსენებებს პარლამენტი გულისყურით გაეცნო, თუმცა მისი მუშაობის შედეგის რეალური ინდიკატორი იქნება შესაბამისი სამთავრობო უწყებების მიერ სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესრულება. მიმდინარეობს რეგიონული ოფისების განვითარება.

გაეროს **წამების** საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შემსრულებლად 2009 წლის ივლისში სახალხო დამცველის ოფისი განისაზღვრა. საჭირო ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესი დაწყებულია. წამების, არაჰუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის პრევენციის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ წარმოადგინა ახალი სამოქმედო გეგმა 2008–2009 წლებისთვის, რომელშიც გათვალისწინებულია წამების პრევენციის კომიტეტის გარკვეული რეკომენდაციები. სამოქმედო გეგმის 2008 წლის იანვრიდან 2009 წლის ივლისამდე განხორციელების შესახებ ანგარიში 2009 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა, თუმცა 2009 წლის დეკემბერში უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მანდატს ვადა გაუვიდა. დღეისთვის, წამების პრევენციის სამოქმედო გეგმა არ განახლებულა და არც საკოორდინაციო საბჭოს განუახლებია მუშაობა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, **დაკავების პირობები** და სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობა ისევე, როგორც გადატვირთულობით გამოწვეული არაადამიანური და ღირსებისშემლახველი პირობები კვლავ შეშფოთების საგნად რჩება. კვლავ არაადექვატურად გამოიყენება პირობითი და პატიმრობის ალტერნატიული სასჯელები, რაც ევროპის საბჭოს სტანდარტს ეწინააღმდეგება. 2009 წლის ივლისში მიღებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსში შესწორებები შევიდა და ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღიდან 90–მდე გაიზარდა, რაც არ არის სრულ შესაბამისობაში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდრატებთან. ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ და საქართველოს სახალხო დამცველმა ხაზგასმით აღნიშნეს სისტემური პრობლემების არსებობა პატიმრებისთვის შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევაში. 2009 წელს, მას შემდეგ, რაც მოხდა პროკურატურის შერწყმა იუსტიციის სამინისტროსთან, შეიქმნა სასჯელაღსრულების და სამართლებრივი დახმარების სამინისტრო. ახალი სამინისტრო პასუხისმგებელია ისეთი სისტემატური ღონისძიებების განხორციელებაზე, რომლებიც დაკავების ადგილებში პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული, თუმცა დღემდე მიღწეული წინსვლა უმნიშვნელოა. 2009 წლის

განმავლობაში მთავრობამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა პენიტენციური ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის და გადატვირთულობის მოსაგვარებლად, მათ შორის ახალი საპყრობილეების მშენებლობის გზით.

,,დემოკრატიული რეფორმების მეორე ტალღამ" გამოკვეთა ის ღონისძიებები, რომლებიც **მედიაში პლურალიზმის** ხელშეწყობაზე იყო მიმართული. ყველა ტელეარხისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით სატელიტური მაუწყებლობის უფლების მინიჭებამ მნიშვნელოვანი შედეგი არ მოიტანა, რადგან სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზიის მაღალი ფასი პრობლემას უქმნის ოპოზიციურად განწყობილ არხებს, რადგან მათი რეკლამიდან მიღებული შემოსავალი მწირია. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭო გაფართოვდა და დღეს მის შემადგენლობაში დამოუკიდებელი მედია ექსპერტები შედიან. თუმცა, სამაუწყებლო მედიაში არსებული მდგომარეობა კვლავ შეშფოთების საგნად რჩება, რადგან სატელევიზიო სივრცე ძალზე პოლარიზებული და მიკერძოებულია. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ახალი ამბების გაშუქება და პოლიტიკური პროგრამები ობიექტურობის ნაკლებობის და მიკერძოების გამო კრიტიკის ობიექტია. ხშირად მას მმართველი გუნდის სასარგებლოდ მაუწყებლობა ბრალდება. მედიაში პლურალიზმის დასამკვიდრებლად მფლობელთა შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ინფორმაციის და დოკუმენტაციის მოპოვება მედია ორგანიზაციების მფლობელობის და მაუწყებლობის ლიცენზიების შესახებ ჯერ კიდევ პრობლემურ საკითხად რჩება საქართველოში. 2009 წლის ნოემბერში ევროკავშირის ორგანიზებით ჩატარდა ,,სემინარი ადამიანის უფლებების და მედიის სფეროში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით," რომლის მიზანი იყო მედიის თავისუფლების საკითხებში გათვითცნობიერებულობის გაზრდა, პრობლემების განსაზღვრა და მათი მოგვარების გზების შემუშავება.

უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი ინტეგრირება საქართველოში კვლავ პრობლემური საკითხია. მთავრობამ შეიმუშავა და 2009 წლის მაისში მიიღო ,,ინტეგრირების ეროვნული სტრატეგია: ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრირების ნაციონალური კონცეფცია." ეს კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2009–2014 წლებს მოიცავს, მიზნად ისახავს უმცირესობებით დასახლებულ შორეულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სწავლებას. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჯერ კიდევ არ არის სრულად ასახული ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტია არ არის ხელმოწერილი საქართველოს მიერ. საქართველოში მესხი მოსახლეობის რეპატრიაციისა და ინტერგაციისთვის საჭირო განაცხადების შევსების ვადამ კიდევ ერთხელ, 6 თვით, 2009 წლის ბოლომდე გადაიწია. შეზღუდულია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნარი განაცხადების დამუშავებისა; არ არის შემუშავებული კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა მესხების რეპატრიაციას.

ქალის უფლებებთან დაკავშირებით 2009 წლის დეკემბერში საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა 2009–2010 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შესწორებების პაკეტი ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის და მის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. შეიქმნა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი უწყებათაშორისი საბჭო. საანგარიშო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის, შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, გაეხსნა ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, რომლებისთვისაც განისაზღვრა ორი შენობა. მიმდინარეობს მათი რეაბილიტირება, რომ უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური საცხოვრებელი სტრანდარტები. კანონპროექტი გენდერული თანასწორობის შესახებ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების და სამთავრობო უწყებების მონაწილეობით შემუშავდა. მისი მიღება 2010 წლის გაზაფხულზეა მოსალოდნელი. 2009 წლის პირველ კვარტალში ქალის ყოველთვიური საშუალო ანაზღაურება კვლავ 43%–ით დაბალი იყო მამაკაცის ანაზღაურებაზე.

მთავრობამ, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, წამოიწყო **არასრულწლოვანთა სამართლის** რეფორმირება. 2009 წლის სექტემბერში შემუშავდა არასრულწლოვანთა სამართლის სისტემის რეფორმირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. სტრატეგიაში გათვალისწინებულია 2007 წელს მიღებული სისხლის სამართლის დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ასაკის 14–დან 12 წლამდე

დაწევა, რაც გაეროს რეკომიენდაციაა. გარკვეული წინსვლა აღინიშნება არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის დაკავების ადგილებში სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებების დანერგვის თვალსაზრისით.

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, კონფლიქტების პრევენციის და კრიზისების მართვის საკითხებში.

2007 წლის ივნისში საქართველოს მიეცა შესაძლებლობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში **შეერთებოდა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დეკლარაციებს**. 2009 წელს საქართველო მოწვეულ იქნა მონაწილეობის მისაღებად ამავე წელს გამოცემული 137 დეკლარაციაში, საიდაც ის 97–ს შეუერთდა. 2009 წელს საქართველოსთან წარმატებული პოლიტიკური დიალოგი გაიმართა, ამასთან, 2009 წლის თებერვალსა და დეკემბერში გაიმართა პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის ,,ტროიკის" (,,სამეულის") შეხვედრები, ხოლო 2009 წლის ივლისში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ,,ტროიკა".

რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება

სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამა, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში უნდა განხორციელდეს, 2009 წლის იანვარში უნდა დაწყებულიყო, თუმცა აზერბაიჯანის მიერ წამოჭრილი საკითხების გამო, მისი დაწყება დაყოვნდა. დღეისათვის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობები სამივე ქვეყანამ მიიღო და მისი განხორციელება 2010 წლის მარტში დაიწყო. *(იხ. თავი 5 – თანამშრომლობა სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების საკითხებში)*.

2009 წლის მიწურულს დასრულდა სამხრეთი კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა (SCAD V). თუმცა, საუბარი იმაზე, თუ როგორ სჯობს ჩატარებული ღონისძიებების შედეგების გამოყენება და როგორ უნდა მიმდინარეობდეს ბრძოლა, რეგიონის მასშტაბით კვლავაც გრძელდება.

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC) ახალი მმართველობა (სამეული, რომლის შემადგენლობაში არიან ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი აღმასრულებელი დირექტორები) მოღვაწეობას 2009 წლის იანვარში შეუდგა. ამ ცვლილებამ ცენტრი როგორც ფინანსურად, ისე ორგანიზაციულად გააძლიერა. ცენტრმა 2009 წელს არაერთი რეგიონული საქმიანობა წარმართა, განსაკუთრებით ინფორმირების და მოქალაქეთა მონაწილეობის, გარემოსდაცვითი პოლიტიკის და ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების შემუშავების, ასევე, მთიანი რეგიონების დაცვის და მდგრადი განვითარების სფეროში. ცენტრი რეგიონული განვითარების, სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის და მომავალი სტაბილურობის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

უმაღლესი განათლების სფეროში დისტანციური სწავლების პროექტის ფარგლებში სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს უნივერსიტეტები თანამშრომლობდნენ. ეს ტემპუსის ფარგლებში განხორციელებული რეგიონული თანამშრომლობის პირველი მაგალითია.

თანამშრომლობა საქართველოში არსებული შიდა კონფლიქტების მოსაგვარებლად

ევროკავშირი ერთგულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენობის პრინციპისა და განაგრძობს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მხარდაჭერას. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ევროკავშირმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ფინანსურიდა პრაქტიკული დახმარება გაუწია საქართველოს, 2008–2010 წლებისთვის 500 მილიონი ევროს ღირებულების პოსტ–კონფლიქტური დახმარების გამოყოფის ჩათვლით. ევროკავშირის დახმარების პროექტების მიზანი იყო კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, კერძოდ, 1992 წელს და 2008 წელს იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება და, სადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, იმ ადამიანების დახმარება, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ. ნდობის აღდგენის ღონისძიებები, რომლებსაც ევროკავშირი კვლავ უჭერს მხარს, მიზნად ისახავს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისთვის პირობების შექმნას და დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგის ხელშეწყობას *(იხ. თავი 8 ფინანსური თანამშრომლობის შესახებ)*.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში არსებული კრიზისისთვის აქტიურად არიან ჩართულნი კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

2009 წლის მაისში შემუშავდა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2009–2010 წლებისთვის, სადაც ევროკავშირის თხოვნით იძულებით გადაადგილებული პირთა ყველა კატეგორიაა გათვალისწინებული. სამოქმედო გეგმა მოიცავს იძულებით გადაადგილებული პირთათვის სწორი საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავებას, მაგრამ არ უზრუნველყოფს კავშირს განსახორციელებელ ღონისძიებებს, საჭირო თანხებს და იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებებს შორის. ასევე, არ არის ნათლად განსაზღვრული, თუ რა კრიტერიუმებით მიიღებენ იძულებით გადაადგილებული პირები საცხოვრებელს. სამოქმედო გეგმის განახლებული და უფრო კონკრეტული ვერსიის მიღება 2010 წლის აპრილშია მოსალოდნელი. მთავრობის საინფორმაციო სტრატეგიის მიზანია იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის უკეთ გათვითცნობიერება თავიანთ სტატუსსა და უფლებებში. ევროკავშირი, გაეროსა და ეუთოსთან ერთად, **„ჟენევის მოლაპარაკების“** თანათავმჯდომარეა და აქტიურ როლს თამაშობს ამ პროცესში**.** ,,ჟენევის მოლაპარაკებები“ 2008 წელს შეიქმნა და ერთადერთი ფორმატია, რომელიც კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური პროცესის წარმართვის საშუალებას იძლევა. 2009 წლის განმავლობაში ჟენევის მოლაპარაკებების ხუთი რაუნდი ჩატარდა; გარკვეული შედეგები იქნა მიღწეული, კერძოდ, შეიქმნა ,,ინციდენტების პრევენციის და შეტყობინების მექანიზმი,“ აღდგა სამხრეთ ოსეთის რეგიონისთვის გაზის და წყლის მიწოდება და გაიმართა დისკუსიები ,,შეთანმხმებული მოქმედებების“ ყოვლისმომცველი პაკეტის შესახებ კონფლიქტთან დაკავშირებულ ჰუმანიტარულ საკითხებზე. ეს ცხადყოფს, რომ მიუხედავად ნელი ტემპისა, პროცესი სასარგებლოა. 2009 წლის განმავლობაში ევროკავშირი შეახსენებდა რუსეთს 2008 წლის სექტემბერში ევროკავშირის დახმარებით ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით აღებულ ვალდებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსრულებელია. 2009 წლის დეკემბერში ევროკავშირმა შეიმუშავა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების არაღიარების და მათი ჩართვის პოლიტიკა.

ევროკავშირის მონიტორინგის მისია (**EUMM**), რომელიც 2008 წელს შეიქმნა და 340 დამკვირვებლისგან შედგება, სტაბილიზაციის პროცესის მონიტორინგს და ანალიზს ახორციელებს. 2009 წლის სექტემბერში, მონიტორინგის მისიის მანდატი ერთი წლით, 2010 წლამდე გაგრძელდა. თუმცა, სეპარატისტული რეგიონების მიერ მისიის მათ მიერ კონტროლირებულ შესვლაზე უარის თქმა საშუალებას არ აძლევს მისიას თანაბრად განხორციელოს მანდატით დაკისრებული უფლებამოსილება.

2009 წლის სექტემბერში, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის ფაქტების დამდგენმა საერთაშორისო მისიამ გამოაქვეყნა ანგარიში იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც წინ უძღოდა 2008 წლის რუსეთ–საქართველოს ომს. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ომი გარდაუვალი იყო. ანგარიშში შეფასებული იყო როგორც ქართული და რუსული მხარის პასუხისმგებლობა, ისე საერთაშორისო საზოგადოების როლი ამ კონფლიქტში.

კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ *(იხ. ბოლო შუალედური ანგარიში SEC(2009)513)* სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სეპარატისტულ რეგიონებში ჰუმანიტარული დახმარების გაწევის და სარეაბილიტაციო ღონისძიებების შესაძლებლობის თვალსაზრისით. 2009 წლის იანვაში მთავრობამ და ევროკომისიამ ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას პოლიტიკური პირობების შესახებ, რომლებიც ევროკავშირის გაზრდილ საბიუჯეტო დახმარებასთანაა დაკავშირებული. დახმარებას თან ახლავს საქართველოს მთავრობის მიერ აღებული რიგი ვალდებულებები; სწორედ მათ შორისაა ორივე მხარისთვის მისაღები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის განხორციელებისთვის აუცილებელი მექანიზმი. ამ პროცესში კონსულტირებისას ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ სერიოზული შეშფოთება გამოთქვა.

საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ, 2010 წლის იანვარში, მთავრობამ მიიღო ახალი ,,სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით.“ სტრატეგია ითვალისწინებს ჩართულობას, რომელიც მთავრობის მიერ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებაზე მიმართულ ღონისძიებებს განამტკიცებს. ეს მიდგომა ზოგადად შეესაბამება ევროკავშირის არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკას, ასევე ნდობის აღდგენაზე ორიენტირებულ მიდგომას. ამდენად, საერთაშორისო საზოგადოება მიესალმა მას, როგორც დადებით მოვლენას. სტრატეგიის მიზნების და ვენეციის კომისიის აზრის შესაბამისად, მთავრობამ

საჯაროდ განაცხადა, რომ 2010 წლის განმავლობაში აპირებს, შესწორებები შეიტანოს კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.

3. ეკონომიკური და სოციალური რეფორმა

მაკროეკონომიკური ჩარჩო და მოქმედი საბაზრო ეკონომიკა

გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა სერიოზული გავლენა მოახდინა საქართველოზე და საგრძნობლად გააუარესა 2008 წლის აგვისტოს ომით გამოწვეული ეკონომიკური სიტუაცია. ეკონომიკური აქტივობის შემცირება შიდა მოთხოვნის კლებით იყო განპირობებული, რაც, თავის მხრივ საბანკო კრედიტების, საზღვარგარეთიდან გადმორიცხვების და უცხოური პირდაპირი ინვეტიციების შემცირებით იყო გამოწვეული. განსაკუთრებით დაზარალდა წარმოების და მშენებლობის სექტორები. ეკონომიკის გაჯანსაღების პირველი ნიშნები 2009 წლის პირველ მესამე კვარტალში გამოიკვეთა; 2009 წლისთვის ნავარაუდევია რეალური მშპ–ს 3.9%–ით კლება. ეკონომიკური აქტივობის კლების გამო 2009 წელს ინფლაცია დაბალი იყო, საშუალოდ 1.7%, თუმცა, 2009 წლის ბოლოსთვის გათვალისწინებული იყო სამომხმარებლო ფასების ინდექსის მატება 3.5%–ით.

2009 წელს სავაჭრო და კაპიტალის ნაკადებში სერიოზული ცვლილებები მოხდა. დღეისთვის ბიუჯეტის დეფიციტი 2008 წელს არსებული მშპ–ს 23%–დან 2009 წელს 12%–მდე შემციდა. ეს ცვლილება გამოწვეული იყო სავაჭრო ბალანსის ცვლილებით: საქონლის და მომსახურების ექსპორტი 16%–ით, ხოლო იმპორტი 30%–ით შემცირდა, რამაც სავაჭრო დეფიციტი მშპ–ს 30%–დან 23%–მდე შეამცირა. 2009 წელს კაპიტალის შემოდინებაც საგრძნობლად შემცირდა. 2008 წელთან შედარებით, გადმორიცხვები 20%–ზე მეტით შემცირდა, ხოლო პირდაპირი საგარეო ინვესტიციების შემოდინება ნახევარზე მეტჯერ შემცირდა (1.5 მილიარდი ევროდან 0.8 მილიარდ ევრომდე). ეკონომიკური აქტივობის კლების გამო, საქართველოში ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა. პირველი სამი კვარტლის განმავლობაში საბიუჯეტო დეფიციტმა მშპ–ს 6.7% მიაღწია. მთელი 2009 წლისთვის საბიუჯეტო დეფიციტმა 9.2%–ს შეადგინა. დეფიციტის დაფინანსება საგარეო დახმარების – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, პარტნიორი ქვეყნების და შიდა სახაზინო ვალდებულებების ემისიის საშუალებით მოხდა. სახელმწიფოს საგარეო ვალი 2008 წლის 21%–დან 2009 წელს 32%–მდე გაიზარდა. საგარეო ვალის გაზრდილი მოცულობის ხარჯზე მოხდა დაფინანსება სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომლებიც პოსტკონფლიქტურ პერიოდში ეკონომიკურ სტიმულირებაზე იყო ორიენტირებული.

2008 წლის სექტემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დამტკიცებულმა 353.7 მილიონი ევროს ღირებულების 18–თვიანმა სტენდ–ბაი შეთანხმებამ საქართველოს სავალუტო ფონდიდან 471.4 მილიონი ევროს მოზიდვის საშუალება მისცა. ამ თანხის უდიდესი წილი 2009 წლისთვის იყო გათვალისწინებული და საგადამხდელო ბალანსის განმტკიცებას და მაკროეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებას უნდა მოხმარებულიყო. 2009 წლის აგვისტოში სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ მესამე ანგარიშის დამტკიცების პროცესში სტენდბაი შთანხმება 2011 წლამდე გაგრძელდა, ხოლო საფინანსო პაკეტი დაახლოებით 302.9 მილიონი ევროთი გაიზარდა, რამაც პროგრამით გათვალისწინებული სრული თანხა 835.7 მილიონ ევრომდე გაზარდა. ამასთან ერთად, ევროკომისიამ საქართველოს მაკროფინანსური დახმარების სახით 46 მილიონი ევროს გრანტი გამოუყო *(დამატებითი ინფორმაცია იხ. მე–8 თავში).*

ლარის გაუფასურების შესამცირებლად, ეროვნულმა ბანკმა ლარის კურსის მიმართ უფრო ინტერვენციონისტული პოლიტიკა აირჩია. მიუხედავად ამისა, წნეხი კურსზე საკმაოდ მაღალი იყო, შედეგად კი 2008 წლის შემოდგომის შემდეგ ლარის კურსმა დოლართან მიმართებაში დაახლოებით 17%–ით დაიწია. 2009 წლის გაზაფხულიდან მთავრობამ შესაძლებლობა მისცა გაცვლის კურსს უფრო მოქნილი გამხდარიყო. 2009 წლის განმავლობაში ლარის გაცვლის კურსი ,,მყარ" ვალუტებთან მიმართებაში სტაბილურობას ინარჩუნებდა. 2009 წლის განმავლობაში დოლართან მიმართებაში ლარი მხოლოდ უმნიშვნელოდ 2%–ით გაუფასურდა, ხოლო ევროსთან მიმართებაში – 4%–ით. გაცვლის კურსის დიდი რყევების თავიდან ასაცილებლად, ეროვნული ბანკი რეგულარულად მართავს უცხოური ვალუტის აუქციონებს. ყოველდღიური ინტერვენციის პრაქტიკა თითქმის აღარ ხორციელდება. მონეტარული პოლიტიკის სფეროში ქართული ეკონომიკისთვის დამახასიათებელი თვისება არის მისი დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი: 2009 წლის სექტემბერში დეპოზიტების

73% აშშ დოლარში იყო. დოლარიზაციის ასეთი მაღალი მაჩვენებლის (და არა ეროვნული ბანკის რეფინანსირების) პირობებში, შიდა გაცვლის კურსი დოლართან მიმართებაში მოქმედებდა ეკონომიკურ აქტივობაზე. შედეგად, 2009 წელს დოლარში გაცემული შიდა სესხების მაღალმა განაკვეთმა (დაახლოებით წლიურმა 23%) შეაფერხა ეკონომიკური გაჯანსაღება.
2009 წლის ნოემბერში პრეზიდენტის ინიციატივით შემუშავდა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში და შემუშავდა ორგანული კანონის ,,ეკონომიკური თავისუფლების, შესაძლებლობის და ღირსების შესახებ" პროექტი. შემოთავაზებული კანონი საკანონმდებლო და საკონსტიტუციო დონეზე (საჭიროებს საპარლამენტო უმარვლესობის ორ მესამედს) განსაზღვრავს მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს, რომლებითაც მთავრობამ უნდა იხელმძღვანელოს. ცვლილებები, ასევე, შეზღუდავს გარკვეული გადასახადების განაკვეთების ზრდას რეფერენდუმის გარეშე. ასევე, დაწესდება შეზღუდვები ახალი მარეგულირებელი ორგანოების შექმნასა და ახალი ტიპის ლიცენზიების დაწესებაზე. შემოთავაზებული კანონის მიზანია ინვესტორებში ნდობის აღდგენა 2008 წლის აგვისტოს ომის შემეგ. ეს ინიციატივა აგრძელებს მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს ჩარევას სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

დასაქმება და სოციალური პოლიტიკა

სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდია. 2009 წელს ღარიბი მოსახლეობის ოდენობა 27.8%–ით განისაზღვრა, ხოლო კრიზისმა დასაქმების და შემოსავლების მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. სიღარიბის დაძლევაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს შორის იყო ასაკის პენსიის გაორმაგება, ერთჯერადი ფულადი დახმარება და ნატურით დახმარება (საწვავის და ძირითადი საკვები პროდუქტების ჩათვლით). 2008 წლის პროგრამის ,,საქართველო სიღარიბის გარეშე" განხორციელება გლობალური კრიზისის გამო შეფერხდა და მთელი ყურადღება სიღარიბის დაძლევიდან სამუშაო ადგილების შექმნასა და სოციალური დახმარების გაუმჯობესებაზე გადავიდა.
დასაქმების სფეროში საქართველოს არც კონკრეტული დასაქმების სტრატეგია გააჩნია და არც უწყება არსებობს, რომელიც მას განახორციელებდა (ამდენად, არც დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა არსებობს ქვეყანაში). აუცილებელია სერიოზულად იქნას განხილული შეუსაბამობა შრომითი ბაზრის მოთხოვნებსა და დასასაქმებელთა უნარ–ჩვევებს შორის.
შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და საქართველოს 2008 წლის ოქტომბრის ერთობლივი განცხადების შემდეგ, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე კონსულტაცია მთავრობას, პროფესიულ კავშირებს და დამსაქმებელთა ასოციაციას შორის. კონსულტაცია მიზნად ისახავდა შრომის კოდექსის იმ დებულებების განხილვას, რომლებიც არ შეესაბამებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს **შრომის ძირითადი სტანდარტების შესახებ.**
2009 წლის ოქტომბერში გამართული **სოციალური დიალოგის** შედეგად, 2009 წლის ნოემბერში გამოიცა ბრაძანებულება სამმხრივი სოციალური დიალოგის კომისიის ინტიტუციონალიზების შესახებ. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავდა და გაანალიზებდა კანონამდებლობას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირთიდად კონვენციებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და შეიმუშავებდა სოციალურ საკითხებზე მომუშავე ახლადშექმნილი კომისიის დებულებას. კომისიის დებულება განსაზღვრავს მის როლს, ფუნქციონირებას და მიზნებს, თუმცა მას დასრულება ესაჭიროება. საქართველოს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს სოციალურ დიალოგს და შეასრულოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია შეაფასებს. 2009 წლის ნოემბერში საქართველომ წარადგინა ანგარიში ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელების შესახებ.

სოციალური დახმარების სფეროშის 2009 წლის თებერვალში მთავრობამ შეიმუშავა სამედიცინო დახმარების პროგრამა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის. ამ დახმარების მიმღებნი ის ოჯახები არიან, რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახების და იძულებით გადაადგილებულთა მონაცემთა ბანკში არიან რეგისტრირებულნი.

2009 წლის თებერვალში დამტკიცდა უნარშეზღუდულთა, მოხუცთა და უსახლკარო ბავშვთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა. ის სხვადასხვა სახის სოციალურ მომსახურებას სთავაზობს უნარშეზღუდულებს, მოხუცებს და უსახლკარო ბავშვებს (2010 წლისთვის 13.7 მლნ ლარი,

დაახლოებით 5.8 მლნ ევროა გამოყოფილი). უმუშევართათვის უმუშევრობის დახმარება ან სოციალური დახმარება არ არის გათვალისწინებული.
2009 წლის იანვრიდან ბავშვებზე ზრუნვა ჯანდაცვის, შრომის და სოციალური საკითხებზე სამინისტრო აგებს პასუხს. ბავშვებზე ზრუნვის პროგრამა 2009 წლის მარტში დამტკიცდა და მიზნად ისახავს უსახლკარო, სოციალურად დაუცველ, უნარშეზღუდულ და ისეთ ბავშვებზე ზრუნვას, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. მისი მიზანია, აგრეთვე დეინსტიტუციონალიზაციის მხარდაჭერა და ბავშვთა მიტოვების პრევენცია. ბავშვთა სახლებში და მზრუნველობის დაწესებულებებში ბავშთა რაოდენობის კლება საანგარიშო პერიოდშიც გრძელდებოდა. 2009 წლის ივლისში გადაიხედა ბავშვებზე ზრუნვის სამოქმედო გეგმა და მასში შევიდა კონკრეტული მიზნები და ღონისძიებები, რომლებიც 2009–2011 წლებში უნდა განხორციელდეს.

სოფლის მეურნეობის სექტორი 2009 წლის განმავლობაში კვლავ იგნორირებული იყო და ცუდად ფუნქციონირებდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2008 წელს მომზადებული საქართველოს სასოფლო–სამეურნეო განვითარების 2009–2010 წლების სტრატეგია, არ არის მიღებული. ამ დროის განმავლობაში სამინისტროსთვის პროგრამირების მთავარ საშუალებათ რჩება შუალედური სამოქმედო გეგმა, რომელიც 2009 წელს იქნა მიღებული და 2013 წლამდე იმოქმედებს. 2009 წელს სახელმწიფოს მიერ სასოფლო–სამეურნეო სექტორში ინვესტირება უმნიშვნელოა, 2009 წლის საბიუჯეტო ასიგნებების მხოლოდ 1.5%. მთავრობის მიერ სასოფლო–სამეურნეო სექტორში დასაქმებულებისთვის გაწეული დახმარების ძირითადი სახეებია: გლეხების ტრაქტორებით უზრუნველყოფა, მეღვინეებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა და ერჯერადი დახმარებები. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მთელი ქვეყნის მასშტაბით შექმნა პროდუქტზე ორიენტირებული ასოციაციები, რომლებსაც წევრთა საერთო ინტერესები ამოძრავებთ და ცდილობენ საერთო მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოყალიბებას.

საანგარიშო პერიოდში არ აღინიშნება წინსვლა **მდგრადი განვითარების** მიმართულებით. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ჯერ არ დაუწყია შესაბამის სტრატეგიაზე მუშაობა.

4. ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, ბაზარი და მარეგულირებელი რეფორმა

2009 წელს მსოფლიოში ფინანსური კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის კლების გამო, **ორმხრივი ვაჭრობის** სფეროში ევროკავშირიდან იმპორტი საქართველოში წინა წელთან შედარებით 27.9%–ით შემცირდა. საქართველოდან ევროკავშირში იმპორტი ჯერ კიდევ უმნიშვნელოა და არ არის დივერსიფიცირებული. 2009 წელს ექსპორტის სამ–მეოთხედს (71.6%) მინერალური პროდუქცია შეადგენდა, ხოლო დახლოებით ერთ–მეათედს სასოფლო–სამეურნეო პროდუქტები, კვების პროდუქტები (9.4%) და ქიმიკატები (9.0%).

2009-2011 წლებისთვის ევროკავშირის მიერ შემუშავებული შეღავათების ზოგადი სისტემის (GSP) ახალი დებულების საფუძველზე, საქართველო განაგძობდა სარგებლობას მდგრადი განვითარების და კარგი მმართველობის სპეციალური მასტიმულირებელი მექანიზმით GSP+. შეღავათების ამ სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოდან ექსპორტის დივერსიფიცირებას და ქვეყანაში საექსპორტო საქმიანობის გაძლიერებას.
2009 წლის მარტში საქართველოს გადაეცა ევროკომისიის მიერ მომზადებული შეფასება (ძირითადი რეკომენდაციების სახით), რომელიც შეეხებოდა ქვეყნის მზადყოფნას, დაიწყოს მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამის შემდეგ, 2009 წლის მეორე ნახევარში საქართველოს ხელისუფლებამ მოამზადა სტრატეგიული გეგმების პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული ძირითადი რეფორმების განხორციელებას. მხარეებს შორის შედგა ინტენსიური დიალოგი ამ საკითხებზე. თუკი საქართველო დამატებით ძალისხმევას გამოიჩენს და დაასრულებს, მიიღებს და განახორციელებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული შესაძლებლობების ზრდის შეთანხმებულ გეგმებს, ის მზად იქნება ღრმა და ყოვლისმომოცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად.

საანგარიშო პერიოდში ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების და სხვა პროდუქტების გეოგრაფიული სახელწოდებების დაცვის შესახებ პოზიტიურად მიმდინარეობდა. მოსალოდნელია, რომ საქართველო გააუმჯობესებს სისტემის ინსტიტუციურ კონტროლს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გეოგრაფიული სახელწოდებების ეფექტური დაცვა.

გარკვეული წარმატება იყო მიღწეული **საბაჟო** საკითხებში, განსაკუთრებით გამარტივების და ვაჭრობის გაადვილების კუთხით. გაუმჯობესდა განბაჟებისშემდგომი კონტროლის სისტემა, ხოლო ,,ადგილზე შემოწმება" 2009 წლის სექტემბერში დაიწყო. რისკების მართვის ახალი წესი 2009 წლის იანვარში შევიდა ძალაში და მიზნად ისახავდა საბაჟო კოდექსში რისკების მენეჯმენტთან დაკავშირებული ცვლილებების განხორციელებას. შემოსავლების სამსახურში შეიქმნა რისკების ანალიზის სპეციალური დეპარტამენტი და რისკების მართვის კომიტეტი. 2009 წლის პირველი კვარტლიდან უფრო მაღალი რისკის შემცველი ტვირთების შერჩევის სისტემა ექსპორტში და საბაჟოს საწყობებშიც გამოიყენება; შემოსავლების სამსახური მუშაობს ,,მწვანე კორიდორის" და ,,ლურჯი კორიდორის" შემოღებაზე, რომლებიც დღეისათვის,,ოქროს სიის" პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ავტორიზებულ ოპერატორებისთვისაა ხელმისაწვდომი. 2009 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა დავების და საბაჟო ჯარიმების დაწესების ახალი წესები. წარმოშობის პრეფერენციული სერტიფიკატების გაცემის და მათი დადასტურების პროცესში საბაჟოს ჩართვის პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს საბაჟო კოდექსში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც განსაზღვრავს წარმოშობის დადგენის კრიტერიუმებსა და წესს და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემას. საჭიროა მეტი ძალისხმევა უსაფრთხოების, უვნებლობის კონტროლის და საბაჟოზე თაღლითობის აღსაკვეთად. საქართველომ საბაჟო შეფასების პრაქტიკა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში უდა მოიყვანოს და საბაჟო ადმინისტრაციული გადასახადი უნდა გააუქმოს. ჯერ კიდევ მისაღებია საბაჟო კოდექსის ნორმატიული აქტები.

საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და ტექნიკური რეგულაციების სფეროში გარკვეული წინსვლა აღინიშნებოდა. 2009 წლის მაისში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების ფარგლებში შეიქმნა სტრანდარტიზაციაზე, აკრედიტაციაზე, ტექნიკურ რეგულირებასა და მეტროლოგიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი. 2009 წელს საქართველომ წარმოადგინა სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის სტრატეგიის პროექტი და სამართლებრივი რეფორმების და ტექნიკური რეგულაციების მიღების პროგრამის პროექტი. ამ დოკუმენტების საფუძველზე გაგრძელდა შემდგომი დიალოგი ტექნიკურ საკითხებზე. 2008 წელს ,,სტანდარტიზაციის ევროპულ კომიტეტში" გაწევრიანების შემდეგ, საქართველო ევროპულ სტანდარტებს ისე იღებს, როგორც თავისი ქვეყნის კანონმდებლობას. მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განახლება და პოტენციალის ზრდა. 2009 წლის ნოემბერში აკრედიტაციის ევროპულმა ცენტრმა ხელი მოაწერა თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ევროპის აკრედიტაციის უწყებასთან.

სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებში წინსვლა უმნიშვნელოა. საქართველომ შეიმუშავა სურსათის უვნებლობის სტრატეგიის პროექტი, რომელზეც ტექნიკური მოლაპარაკება გაიმართა. საქართველომ ასევე მოამზადა კანონპროექტები ჰიგიენის, სურსათის საწარმოების რეგისტრაციის და სურსათის ეტიკეტირების შესახებ. მომზადდა და მიღებული იქნა ნორმატიული აქტები (მაგ ფიტოსანიტარული სერტიფიკატების შესახებ). ამ საქმიანობის მიზანი იყო ევროკავშირის წესებთან დაახლოება. მიმდინარეობს ლაბორატორიების განახლება და ექსპერტების მომზადება. 2009 წლის ივნისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს საქართველოს მონაწილეობაზე სურსათის და ცხოველთა საკვების სფეროში ევროკავშირის სწრაფი შეტყობინების სისტემაში მონაწილეობის შესახებ. 2009 წელს საქართველომ დაიწყო სურსათის უვნებლობის შესახებ კანონის განხორციელება რამდენიმე ეტაპად – 2010–დან 2018 წლამდე. საქართველომ დაიწყო სურსათის მწარმოებელთა თანდათანობითი რეგისტრაცია, თუმცა 2011 წლამდე შეფერხდა კონტროლის და აღმოჩენის შესახებ ძირითადი დებულებების განხორციელება. 2009 წლის

განმავლობაში ჩატარდა გარკვეული სახის (ნებაყოფლობითი) კონტროლი და ზოგიერთი ორგანიზაცია უფრო გამკაცრებულ ჰიგიენურ წესებზე გადავიდა.

სამოქმედო გეგმის განხორციელების და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის მოსამზადებლად, საქართველოს ამ სფეროში საგრძნობი წინსვლა სჭირდება. ისეთ საკითხებს, როგორიცაა კანონმდებლობის მიღება და განხორციელება, შესაბამისი ინსტიტუტების ფუნქციონირება და ცხოველთა დაავადებაზე უკეთ დაკვირვება, მეტი ყურადღება სჭირდება. მიუხედავად წინსვლისა, აუცილებელია საქმიანობის უკეთ კოორდინირება (სოფლის მეურნეობის სამინისტროს) სასურსათო უსაფრთხოების, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს და (ფინანსთა სამინისტროს) შემოსავლების სამსახურს შორის, რომელიც პასუხისმგებელია საზღვარზე გარკვეული ტიპის ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელებაზე. საქართველომ პირველი ნაბიჯები გადადგა ევროკავშირში მეთევზეობის პროდუქტების ექსპორტის ნებართვებთან დაკავშირებით.
გარკვეული წარმატებაა მიღწეული **ბიზნეს გარემოს, ბიზნესის დაწყების და კომპანიის შესახებ კანონთან დაკავშირებით.** მეწარმეთა შესახებ კანონში, რომელშიც 2009 წელს შესწორებები შევიდა, ისევ შევიდა მოთხოვნა კომპანიის რეგისტრაციისას კომპანიის წესდების წარმოდგენის შესახებ. კანონით განისაზღვრა, ასევე, წესდებაში მოცემული შინაარსის სავალდებულო მინიმუმი. მიუხედავად ამისა, აუცილებელია დამატებითი ღონისძიებები, რომ დაკმაყოფილებული იყოს ევროკავშირის მოთხოვნა გამჭვირვალობის შესახებ, მოთხოვნა ინფორმაციის გახსნის შესახებ, ანულირების საფუძვლის და რეგისტრაციის საჯაროობის შესახებ. ამუშავდა კომპანიების რეგისტრაციის პროცესში დახმარების (იურიდიული კონსულტაცია) ონლაინ სისტემა, თუმცა ამ რეჟიმში რეგისტრაცია ჯერ კიდევ შეუძლებელია. არასამთავრობო სექტორის ინიციატივით და მთავრობის დახმარებით მიმდინარეობს კორპორატიული მართვის კოდექსის შემუშავება, სადაც მთავარი ყურადღება ბანკებზეა გადატანილი. თუმცა, მეტია გასაკეთებელი სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შექმნის, მათი ქონების მოვლა–პატრონობის, ქონებრივ უფლებებში ცვლილებების შეტანის, ლიკვიდაციის საფუძვლის და რეგისტრაციის საჯაროობასთან დაკავშირებული საკითხების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების გაზაზე.

გაგძელდა გარკვეული წინსვლა **ფინანსური მომსახურების** სფეროში. 2009 წლის სექტემბერში შემუშავდა და ამავე წლის დეკემბერში ძალაში შევიდა ახალი კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. კანონის მიზანია ეროვნული ბანკის ფუნქციების გაზრდა და მათი განმტკიცება, რომ მან, სხვა ფუნქციებთან ერთად, შეძლოს წვლილის შეტანა ფინანსური სისტემის სტაბილობასა და გამჭვირვალობაში. ქართული ბანკებისთვის ყველაზე სერიოზული რისკი არის უცხოური ვალუტის არაპირდაპირი ზემოქმედება. ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო – ერთიანი საზედამხედველო უწყება საბანკო, სადაზღვევო და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე–განაგრძობდა საქმიანობას რეგულირების სფეროში.

სხვა ძირითადი სფეროები

საბაჟო და საგადასახადო ადმინისტრაციების შერწყმის შემდეგ, რომელსაც თანამშრომელთა სერიოზული შემცირება და სტრუქტურული ცვლილებები მოჰყვა, გრძელდებოდა სახელმწიფო შემოსავლების სამსახურის სტრუქტურის და ოპერატიული შესაძლებლობების დახვეწა. დღგ–ს გამოთვლის გამარტივებული წესების ძალაში შესვლის მიუხედავად, ეს სისტემა გაუმჯობესებას საჭიროებს. ფინანსური პოლიცია (ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური) 2009 წელს თავიდან შეიქმნა და მისი მიზანი იყო საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის უკეთ აღსრულება. თუმცა, გასაჩივრების ეფექტური სამსახური ჯერ არ შექმნილა. მნიშვნელოვანია, რომ ახალმა უწყებამ არ განახორციელოს გაუმართლებელი ზეწოლა კანონიერ ვაჭრობასა თუ ბიზნესზე. რატიფიცირებას საჭიროებს ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის აცილების შესახებ საფრანგეთთან, ირლანდიასთან, ლუქსემბურგთან და მალტასთან. ხელმოწერისთვის მზადაა შეთანხმება ესპანეთთან,

მოლაპარაკებები მიმდინარეობს კვიპროსთან, უნგრეთთან, სლოვაკეთთან, სლოვენიასთან და შვედეთთან.

კონკურენციის პოლიტიკის სფეროში უმნიშვნელო წინსვლა შეინიშნება. 2009 წლის სექტემბერში საქართველომ მოამზადა ფართომასშტაბიანი სტრატეგია კონკურენციის პოლიტიკის სფეროში. მის საფუძველზე წარიმართა კონკურენციის პოლიტიკის შესახებ ტექნიკური დიალოგი ევროკომისიის შესაბამის სამსახურებთან. სტრატეგია ითვალისწინებს კონკურენციის შესახებ კანონის შემუშავებას და, სამომავლოდ, კონკურენციის სრულყოფილი სააგენტოს შექმნას. ასევე, იგულისხმება სახელმწიფო დახმარების შესახებ წესებიც. კონკურენციის შესახებ 2005 წლის კანონი, რომელიც დღემდე ძალაშია, არ არეგულირებს ანტიტრასტულ ზომებს, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტო არ არის საკმარისად თავისუფალი და მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციას ასრულებს.

ინტელექტუალური საკუთრების სფერო. 2009 წლის ოქტომბერში კანონში წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველომ შეიტანა ცვლილებები, რომელიც არეგულირებს მონაცემთა ექსკლუზიურობას და არასანდოობას და აძლევს ინტელექტუალური საკურთების მფლობელს უფლებას განახორციელოს კონტროლი, თავისი ინიციატივით, ასევე პარალელური იმპორტი და დაარეგულიროს ეს საკითხი დისტრიბუციის შესახებ შეთანხმებებით ან უფლების ამოწურვის მუხლის შესაბამისად. მიუხედავად ამისა, უნდა იქნას მიღებული კანონპროექტი საწარმოო ნიშნების შესახებ, განახლებული საპატენტო კანონი და დებულებები დაცვის დამატებითი სერტიფიკატის შესახებ. ორივე კანონპროექტი, პარლამენტში წარდგენამდე, მთავრობის მიერ განხილვის ეტაპზეა. საქართველო მუშაობდა გეორაფიული სახელწოდებები ორმხრივი სამართლებრივი დაცვის შესახებ შეთანხმების ტექსტებზე დსთ–ს ქვეყნებთან.

2009 წლის შემოდგომაზე საქართველომ წამოიწყო პირატული საქმიანობის და ფალსიფიკაციის კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ინტელექტუალური საკუთრების უფლების უკეთ დაცვის გზების ძიებას. კვლევის დასრულება 2010 წლის გაზაფხულზეა მოსალოდნელი, თუმცა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, საჭიროა მნიშვნელოვანი დამატებითი ძალისხმევა, განსაკუთრებით, ისეთი ზომების მიღება, რომლებიც გააძლიერებს ამ საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებების შესაძლებლობებს (მაგ. პოლიციისა და პროკურატურისთვის *ex officio* უფლებამოსილების გადაცემა). საანგარიშო პერიოდში ძალიან ცოტა სასამართლო განხილვა თუ შემოწმება განხორციელდა. არ არის წინსვლა სასამართლოში ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის განყოფილების შექმნის საკითხში.
სტატისტიკის შესახებ ახალი კანონი, რომელიც ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, პარლამენტმა 2009 წლის დეკემბერში მიიღო. მასში მოცემულია სტატისტიკის ახალი სააგენტოს (საქსტატი) შექმნის, დაკომპლექტების და ფუნქციონირების წესი, რომელიც საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ – 2010 წლის თებერვალში – შევიდა ძალაში. სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლებს მომზადება სჭირდებათ, რომ მათ შეძლონ ახალი კანონმდებლობის ეფექტურად განხორციელება და სანდო სტატისტიკური მონაცემების მოპოვება.

საწარმოთა ხელშეწყობის პოლიტიკის განხორციელების და ,,ერთი ფანჯრის პრინციპის" დამკვიდრების მიზნით, 2009 წელს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შეიქმნა მეწარმეთა მომსახურების ცენტრი. იგივე სამინისტროში შეიქმნა, აგრეთვე, ექსპორტის ხელშეწყობის დეპარტამენტი. ქართულ და უცხოურ ბიზნესებს შორის თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, საქართველოს ინვესტირების ეროვნულმა სააგენტომ სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში არა–ერთი ბიზნეს–ფორუმი მოაწყო. განხორციელდა ბევრი პროექტი, რომელიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოსა და ბიზნესის განვითარებას დაეხმარა. 2009 წლის ივლისში მოეწო საჯარო დისკუსია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, ხოლო 2009 წლის სექტემბერში მოეწყო ,,მცირე ბიზნესის გაფართოებული ფორუმი." პარლამენტს გადაეგზავნა კანონპროექტი მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ. ასევე. 2009 წლის ოქტომბერში შეიქმნა მცირე ბიზნესის უწყებათაშორისი კომიტეტი.

საჯარო ფინანსების მართვის სფერო ,,საჯარო ხარჯების და ფინანსური ანგარიშგების" შედეგების საპასუხოდ, ფინანსთა სამინისტრომ გადაახალისა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების სტრატეგია და შეიმუშავა ახალი ,,პოლიტიკის ხედვა," რომელმაც საჯარო ფინანსების მართვის 2007 წლის სტრატეგია ჩაანაცვლა. ,,პოლიტიკის ხედვა" მხოლოდ იმ სფეროებს შეეხებოდა, რომლებსაც ფინანსთა სამინისტრო კურირებს, ესენია: ბიუჯეტის მომზადება, რესურსების მართვა, შიდა კონტროლი და საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება. მიუხედავად იმისა, რომ ,,პოლიტიკის ხედვა" ზედმეტად დეტალურად შეიძლება მივიჩნიოთ, სამინისტროს აზრით, მასში რეალურადაა ასახული ის, თუ რისი გაკეთება შეიძლება არსებული შესაძლებლობების პირობებში.
,,პოლიტიკის ხედვაში" მოცემულია მოქმედების გეგმა, რომლის განხორციელება 2009– 2013 წლებზეა გათვლილი და უფრო დეტალური საქმიანობის ნუსხა 2009 წლისთვის. 2009 წლის ოქტომბრის შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა წარმოდგინა რეფორმების განხორციელებაში მიღწეული უახლესი შედეგები და ხაზი გაუსვა მიღწევებს საჯარო ფინანსების მართვის სხვადასხვა სფეროში, მაგ: ახალი საბიუჯეტო კოდექსის პროექტის შემუშავება, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის დანერგვა, ბიუჯეტის შესრულებაში უფრო მეტი გამჭვირვალობა, კანონქვემდებარე აქტების უფრო აქტიურად შემუშავება, გამარტივებული საბაჟო პროცედურების შემოღება ვაჭრობაში ჩართული სანდო მეწარმეებისთვის, რისკზე დამყარებული შერჩევის პროცედურების შემუშავება საგადასახადო აუდიტისთვის და ელექტრონული მომსახურების შემოღება, საგადასახადო დაბრუნებების დაფაილების და ინფორმაციის მიღების ელექტრონული სისტემის ჩათვლით, რაც დღეისათვის გადასახადის გადამხდელთათვის უკვე ხელმისაწვდომია.
საჯარო შიდა ფინანსურ კონტროლის სფეროში პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა ფინანსთა სამინისტრომ მარტში წარმოადგინა. 2009 წლის ოქტომბერში პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი შიდა აუდიტის შესახებ. კანონის მიღება შესაძლებელს გახდის დამატებითი კონტროლის ფუნქციების თანდათანობით განხორციელებას. თუმცა, აუდიტის ფორმების და ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარების პარალელურად, აუცილებელია ნორმატიული აქტების მიღება. ამ რეფორმის ეფექტურობა ნაწილობრივ დამოკიდებულია ერთიანი სტანდარტების და პროცედურების დანერგვაზე მიმართული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებას და თანამშრომელთა ხშირი ცვლის თავიდან აცილებაზე.
2009 წლის იანვარში მიღებული ახალი კანონის განსახორციელებლად, კონტროლის პალატამ საკუთარი სტრატეგია შეიმუშავა. მის მიერ უახლოეს წლებში განსახორციელებელი ღონისძიებე ბი მოიცავს: აუდიტორებისთვის მდგრადი ტრეინინგის სისტემის შემუშავებას, INTOSAI სტანდრატების მიხედვით მეთოდოლოგიის შექმნას ყველა ტიპის აუდიტისთვის, პარლამენტთან, ფიანანსთა სამინისტროსთან და საზოგადოებასთან უკეთესი ურთიერთობების და კომუნიკაციის დამყარებას.
სახელმწიფო **შესყიდვების** შესახებ კანონში შესწორებები პარლამენტმა 2009 წლის ნოემბერში მიიღო, ხოლო კანონი ძალაში დეკემბერში შევიდა. კანონი 2010 მარტიდან ითვალისწინებს ელექტრონული ტენდერების ჩატარებას, ხოლო 2010 წლის სექტემბრისთვის სატენდერო პროცედურებში ქაღალდის გამოყენების აკრძალვას. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს 2010 წლის მარტისთვის საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნას, რომელშიც შევლენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საჭიროა მეტი ძალისხმევა შესყიდვების მთელი პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.
საჯარო ფინანსების მართვის სფეროში წინსვლა გრძელდება, თუმცა საჭიროა და მოსალოდნელიც, რომ განხორციელდება შემდგომი რეფორმა განსაკუთრებით MTEF/ბიუჯეტის შემუშავებაში, რადგან შეზღუდულია ადმინისტრაციული შესაძლებლობები, ხოლო სექტორული კონსულტაციების სისტემა არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული, ასევე, აშკარაა პროცედურის ამსახველი ინსტრუქციების ნაკლებობა.

5. თანამშრომლობა სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების

ინტეგრირებული **საზღვრის მართვის** სამოქმედო გეგმა, რომლის შემუშავება უსაფრთხოების ეროვნულ სტატეგიაშია გათვალისწინებული, 2009 წლის დეკემბერში იყო მიღებული. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის დაქვემდებარებაში არსებულმა საზღვრის

საკითხებზე მომუშავე დამხმარე ჯგუფმა დახმარება გასწია სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და უწყებათაშორის კოორდინაციაში და ტექნიკური დახმარება გაუწია სასაზღვრო პოლიციას. საქართველო განაგრძობდა მონაწილეობას სამხრეთ კავკასიის ინტეგრირებული მართვის რეგიონულ პროგრამაში, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 2007 წლის ოქტომბერში ოფიციალურად შეთანხმდა. პროგრამის მიზანია უწყებათაშორისი თანამშრომლობა, საბაჟო და სასაზღვრო უწყებების ტრეინინგი და მათი შესაძლებლობების გაზრდა შეთანმხმებული რეგიონული და ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა რეგიონულია, აზერბაიჯანმა საქართველოსთან თანამშრომლობა მხოლოდ ორმხრივი კონპონენტის ფარგლებში არჩია, რამაც პროგრამის განხორციელება 2010 წლის მარტამდე შეაფერხა. მიუხედავად ამისა, სამხრეთ კავკასიის ინტეგრირებული მართვის რეგიონული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს საბაჟო და სასაზღვრო უწყებებმა აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მოსამზადებელ ტრეინინგში, რომელიც ჩატარდა ავსტრიაში, ხორვატიაში, იტალიასა და სლოვენიაში.

სასაზღვრო და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის შემდგომი ტრეინინგი ჩატარდა; ამასთან, ეუთოსთან თანამშრომლობით ჩატარდა სემინარები საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საზღვრის დაცვის უწყებების წარმომადგენლებთან ერთად.

ტრეინინგის სფეროში ასეთივე თანამშრომლობა გაგრძელა თურქეთთან, გერმანიასთან, პოლონეთთან და რუმინეთთან საზღვრის დაზვერვის, ხომალდების უსაფრთხოების და ოპერატიულ გამოძიებას. ისევე, როგორც 2008 წელს, წინსვლა არ აღინიშნება საზღვრების დელიმიტაციის და დემარკაციის სფეროში, გარდა თურქეთისა და ეს შეშფოთებას იწვევს. ამ სფეროში სრულყოფილი განათლების და ტრეინინგის სისტემის შემუშავება და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა საჭიროებს მუდმივ ყურადღებას და ინვესტირებას, სასაზღვრო გადასასვლებების გაკონტროლება ეფექტურად ხდებოდეს.

2009 წელს დაგეგმილი საქართველოს მოქალაქეებისთვის ბიომეტრიული პასპორტების გაცემა არ დაწყებულა, თუმცა სამოქალაქო რეესტრმა რამდენიმე მოსამზადებელი ნაბიჯი გადადგა ამისთვის. ლტოლვილთა შესახებ 2008 წლის კანონის თანახმად, 2009 წელს გაიცა სამგზავრო დოკუმენტები ლტოლვილებისთვის.

2009 წლის ნოემბერში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს პროგრამას **„პარტნიორობა მობილურობისთვის“**. ამ პარტნიორობაში ევროკავშირის 16 სახელმწიფო მონაწილეობს. მათ მიერ წამოყენებული სხვადასხვა ინიციატივა სამ სხვადასხვა სფეროშია თავმოყრილი, ესენია: ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა და მიგრაციის წვლილი განვითარებაში.

მოლაპარაკებები **ვიზების გამარტივების და რეადმისიის შეთანმხებების** თაობაზე 2009 წლის ნოებმერში დასრულდა, ხოლო ხელმოწერა 2010 წლის განმავლობაშია მოსალოდნელი.

საქართველოს ჯერ არ შეუქმნია **მიგრაციის** მართვის მონაცემთა ბანკი, არც მიგრაციის პოლიტიკა შეუმუშავებია და არც შრომითი მიგრაციის რეგულირების კანონმდებლობა მიუღია. რაც შეეხება **თავშესაფარს**, გამოიყო შენობები, ძირითადად ევროკავშირის ფინანსური დახმარებით და რეკონსტუქცია უტარდება თავშესაფრის მაძიებელთა დროებითი განთავსების ცენტრს. ლტოლვილთათვის სამგზავრო დოკუმენტების გაცემა და მათი ნატურალიზაცია გაადვილდა, რადგან ნატურალიზაციისთვის სავალდებულო საქართველოში უწყეტად ცხოვრების ვადა 10–დან 5 წლამდე შემცირდა.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში საქართველომ დაიწყო მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება ,,გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ცეცხლსასროლი იარაღის, მისი ნაწილების, კომპონენტების და ამუნიციის არალეგალური წარმოების და ტრეფიკინგის შესახებ კონვენციის მესამე ოქმის“ მიღების და რატიფირებისთვის. საქართველოს მიერ 2008 წელს ხელმოწერილი ,,კიბერდანაშაულის შესახებ ევროპული კონვენციის“ განხორციელების მხარდაჭერის მიზნით, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა ევროკავშირის და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2009 წლის ივნისში, ერთწლიანი პროექტის განხორციელება დაიწყეს.

ადამიანის ტრეფიკინგის წინააღმეგ საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებას; მიმდინარეობს პოლიციელთა მომზადება და სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტენსიური თანამშრომლობა ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეინტეგრაციის და რეაბილიტაციის და ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. პოლიციის ვებსაიტის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გათვითცნობიერებულობის ამაღლებისთვის. საქართველო აგრძელებდა თანამშრომლობას ყაზახეთის და თურქეთის სამართალდამცავ სტრუქტურებთან, რასაც შედეგად მოჰყვა წარმატებულ გამოძიება და დამნაშავეთ სისხლის სამართლებრივი დევნა.

ნარკოტიკებთან ბრძოლასთან მიმართებაში საქართველო განაგრძობდა რეგიონულ პროგრამაში SCAD V მონაწილეობას, თუმცა ვერ უზრუნველყო ამ საკითხზე ეროვნული საკონტაქტო უწყების დასახელება პროგრამის ფარგლებში.

ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ეგმონტის (Egmont), ევრაზიული ფინანსური მოქმედების ჯგუფის (FATF) და მანივალის (Moneyval) ფარგლებში. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, გენერალური პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტრეინინგ–სემინარში, რომელიც შეეხებოდა როგორც ფულის გათეთრებას, ისე ფინანსურ ტერორიზმთან ბრძოლას. ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა, გენერალურმა პროკურატურამ და იუსტიციის სამინისტრომ ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რითაც განმტკიცდა უწყებათაშორისი თანამშრომლობა. ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ხელი მოეწერა დამატებით მემორანდუმს ლატვიის და კვიპროსის ფინანსური დაზვერვის სამსახურებთან. თუმცა, საერთაშორისო ვალდებულებების და ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისას, თავიდან უნდა იქნეს აცილებული არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შეკრების თავისუფლების შეზღუდვა. ,,დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის გათეთრების, მოძიების, ჩამორთმევისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია" ხელმოწერილი და რატიფიცირებული უნდა იქნეს.

სამართლებრივ საკითხებში საერთაშორისო და რეგიონულ **თანამშრომლობასთან** დაკავშირებით 2009 წლის მაისში საქართველომ წარმოადგინა მესამე ქვეყნებისთვის სამოქალაქო საკითხებში სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების პროექტები, თუმცა მას შემდეგ წინსვლა არ აღინიშნება.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან სასამართლოს სფეროში თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითების გაცვლის თუ სასამართლოებისა და სამართალდამცავი უწყებების ქსელის შექმნის საქმეში წინსვლა არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც **პირადი მონაცემების დაცვის** შესახებ კანონპროექტს საერთაშორისო ექსპერტები შეაფასებენ, უნდა მოხდეს მისი მიღება. აუცილებელია პირადი მონაცემების დაცვის გამართული სისტემის ჩამოყალიბება როგორც საკანონმდებლო, ისე ადმინისტრაციული შესაძლებლობების თვალსაზრისით, იმისთვის, რომ მოხდეს ევროკავშირის წევრ–ქვეყნებთან, ევროპოლთან და EUROJUST– თან თანამშრომლობა. ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენცია ,,დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის გათეთრების, მოძიების, ჩამორთმევისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ" ჯერ კიდევ ხელმოუწერელია. 2010 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტროს ქოლგის ქვეშ შეიქმნა მონაცემთა გაცვლის დამოუკიდებელი უწყება, რაც განიხილება, როგორც მოსამზადებელი ეტაპი ,,მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 1981 წლის კონვენციის" დამატებითი ოქმის ხელმოწერის და რატიფიცირებისთვის.

6. **ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, საინფორმაციო საზოგადოება, კვლევა და განვითარება**

მიუხედავად იმისა, რომ ახლახანს შექმნილმა გაერთიანებულმა **სატრანსპორტო** ადმინისტრაციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სხვადასხვა სახის ტრანსპორტის განვითარებასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, კვლავაც აცილებელია, ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაზრდა.

საგზაო სექტორში გრძელდება უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ასევე მცდელობა გზების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვებისა. მულტიმოდალური სატრანსპორტო კავშირების

განმტკიცების მიზნით, საქართველო ცდილობს განავითაროს მულტიმოდალური (გზა–რკინიგზა–ბორანი) ხაზი, რომელსაც ბათუმი–ფოთი–ილიჩოვსკის საბორნე კავშირზე ნაკლები დრო დასჭირდება.
სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ფრენის უსაფრთხოების შემოწმების შესახებ ანგარიშის მომზადების შემდგომ, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოში საგრძნობი წინსვლა აღინიშნება. 2009 წლის აპრილში სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციამ შემდგომი ვიზიტი განახორციელა, რომლის დროსაც დადასტურდა, რომ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გადაუდებელი საკითხები ავიაციის ხელმძღვანელობამ ეფექტურად მოაგვარა. სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობას უფრო ძლიერი პოლიტიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა სჭირდება, რომ გაიზარდოს თანამშრომლების რაოდენობა ზოგიერთ კონკრეტულ სექტორში და შესაძლებელი გახდეს მაღალი კვალიფიკაციის თანამშრომლების სამუშაოზე აყვანა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ერთიან საავიაციო შეთანხმებაზე მოლაპარაკება 2009 წლის ოქტომბერში დაიწყო. მოლაპარაკებების მეორე რაუნდში, რომელიც დეკემბერში გაიმართა, საგრძნობი წინსვლა იქნა მიღწეული. ამ შეთანმხების შესაბამისად, საქართველო თანდათანობით შემოიღებს ევროკავშირის სტანდარტებს ავიაციის სფეროში. ევროპის საავიაციო სააგენტოსთან 2009 წელს ხელმოწერილი სამუშაო შეთანხმება თანამშრომლობის განმტკიცების მექანიზმის შექმნას ემსახურება. მას შემდეგ, რაც ბოლო წლებში არა–ერთი ცვლილება მოხდა, საჭიროა შემდგომი ძალისხმევა საავიაციო ადმინისტრაციის განსამტკიცებლად და სატრანსპორტო ავიაციის ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად, უსაფრთხოებაზე დაკვირვების ჩათვლით. საქართველოს ჯერ არ მოუხდენია მონრეალის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების გარკვეული წესების უნიფიცირებას ითვალისწინებს.
საზღვაო სექტორში მთელი რიგი ტექნიკური წესების მიღების საშუალებით საქართველომ დაიწყო ფლაგმანი სახელმწიფოს სტატუსის განხორციელება და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, მათ შორისაა ,,კლასიფიკაციის საზოგადოების აღიარება", ,,საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი მოთხოვნა ეკიპაჟის მინიმალური შემადგენლობის შესახებ" და ,,საზღვაო შემთხვევების გამოძიება." მიუხედავად ამისა, საზღვაო უსაფრთხოება კვლავ შეშფოთების საგნად რჩება. საქართველოს დროშა პარიზის და ტოკიოს პორტის სახელმწიფო კონტროლის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმების შავ სიაშია და კვლავ ,,მაღალი რისკის" კატეგორიაში განიხილება.
საქართველომ, როგორც კასპიის ზღის ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყანამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა სურვილი, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის **ენერგოუსაფრთხოებაში.** საქართველო და ევროკავშირი დაინტერესებულნი არიან ნახშირწყალბადების ევროკავშირში გამჭვირვალე ტრანსპორტირებისთვის მარეგულირებელი ჩარჩოების შემუშავებაში, ევროკავშირის ენერგეტიკის სფეროს კანონთა კრებულზე (*acquis*) დაყრდნობით. ნახშირწყალბადების ტრანსპორტირებას ბაქო–თბილისი ჯეიჰანის (თურქეთი) ნავთობსადენის და ბაქო–თბილისი–ერზრუმის (თურქეთი) გაზსადენის საშუალებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველო განაგრძობდა გაზის სამხრეთის კორიდორის, მათ შორის ნაბუკოს და ტრანსპორტირების ტრანსკასპიური პროექტის მხარდაჭერას. 2009 წლის მაისში საქართველომ მონაწილეობა მიიღო სამხრეთ კორიდორთან დაკავშირებულ პრაღის სამიტში.

საქართველომ წვლილი შეიტანა ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კვლევაში ,,კასპიის განვითარების კორპორაციის" შესახებ, რომლის ძირითადი მიზანია გაზზე მოთხოვნის გაერთიანება ზემოხსენებული დერეფნის განვითარების მიზნით. 2009 წლის ოქტომბერში, საქართველო და რუმინეთი შეთანხმდენენ, რომ სხვა საკითხებთან ერთად, ითანამშრომლებენ თხევადი გაზის საწარმოების განვითარებაზე ევროკავშირში კასპიის ზღვის რესურსების ტრანსპორტირების მიზნით. 2009 წლის ივლისში საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, პოლონეთის და უკრაინის ენერგოკომპანიებმა დაასრულეს კვლევა ნავთობის ტრანსპორტირების ევრაზიური დერეფნის შესახებ. ბაქო–სუფსის ნავთობსადენის რეაბილიტირების შემდეგ (2008), საქართველომ დაიწყო ფიქრი სუფსაში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის შესახებ.

მიმდინარეობდა ენერგოპოლიტიკის განხორციელება ჰიდროენერგოსადგურებში ინვესტირების, ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დაწყების და ელექტროქსელების გაძლიერების გზით. რეაბილიტირებულ იქნა ენგურის დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. საქართველო აგრძელებდა მუშაობას აზერბაიჯანი–საქართველო– თურქეთის დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის მოსამზადებლად. მოხდა შიდა გაზსადენების რეაბილიტირება და პროგრამა ,,გაზი ყველა სოფელს" ფარგლებში ახალი მომხმარებლების გაზსადენების ქსელთან დაკავშირება. საქართველომ დაასრულა მიწისქვეშა გაზსადენის შესახებ კვლევა, რომელიც წინ უძღვოდა ტექნიკურ–ეკონომიკური შესაძლებლობების კვლევას. საქართველომ მიიღო კანონი, რომელიც მიზნად ისახავს შემდგომ, უფრო პროგრესულ კონვერგენციას ევროკავშირის შიდა ენერგობაზრის წესებთან. საქართველო ემზადება ელექტროენერგიის ტარიფების ახალი მეთოდოლოგიაზე გადასასვლელად. გრძელდება ელექტრონული და გაზის მრიცხველების დამონტაჟება ოჯახებში, რითაც გაუმჯობესდა გადასახადების შეგროვება.
2008 წლის განახლებადი ენერგიის სახელმწიფო პროგრამაზე დაყრდნობით საქართველომ მცირე ჰიდროელექტროსადგურები განავითარა. წინსვლა არ აღინიშნება ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების კანონპროექტთან დაკავშირებით. კოდექსის პროექტი ჯერ კიდევ მომზადების სტადიაშია. სამოქმედო გეგმის შესრულება ითვალიწინებს მეტ ძალისხმევას ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიების წყაროების სფეროში.
კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო შეთანხმებისთვის საქართველომ წარმოადგინა მეორე ეროვნული კომუნიკაცია **კლიმატის ცვლილების** შესახებ, სადაც აღწერილია ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია და კონვენციის განსახორციელებისთვის დაგეგმილი ნაბიჯები.
საქართველომ განსაზღვრა 2010–2012 წლების სტრატეგიული პრიორიტეტები კლიმატის ცვლილების სფეროში. დაგეგმილია კლიმატის ცვლილების საერთო სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მეორე ეროვნული კომუნიკაციის შედეგები. გადაიდგა ნაბიჯები კლიმატის ცვლილებისადმი მგრძნობიარე რაიონებში ადაპტაციაზე მიმართული ღონისძიებების მოსამზადებლად.
საქართველომ გადადგა ნაბიჯები ,,სუფთა განვითარების მექანიზმის" ფარგლებში პროექტების მოსამზადებლად და დასამტკიცებლად. ერთ–ერთი ასეთი პროექტი გაეროს დონეზე დარეგისტრირდა, ამდენად, რეგისტრირებული პროექტების საერთო რაოდენობამ ორი შეადგინა. საქართველო შეუერთა კოპენჰაგენის შეთანხმებას და წარმოადგინა საქმიანობა, რომლის განხორციელებასაც აპირებდა. ევროკომისია აგრძელებდა საქართველოს დახმარებას კიოტოს ოქმის განხორციელებაში.
გასულ წლებთან შედარებით საქართველომ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო **გარემოსდაცვით** პოლიტიკას და კანონმდებლობას. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აგრძელებდა მუშაობას გარემოს დაცვის მეორე ეროვნულ გეგმაზე და მოამზადა სტარტეგია, რომელიც სამინისტროს 2009-2013 წლების ძირითადი პრიორიტეტებს მოიცავდა. საკანონმდებლო ჩარჩო შემდგომ განვითარებას საჭიროებს, განსაკუთრებით ნორმატიული აქტების შემუშავების თვალსაზრისით. მზადდება ახალი გარემოსდაცვითი კოდექსი, რომელიც მოიცავს ახალ ჩარჩო კანონებს საკვანძო გარემოსთან დაკავშირებულ სექტორებში.
მომზადდა, მაგრამ ჯერ არ არის მიღებული საზღვაო ზოლის ინტეგრირებული მართვის სტრატეგია. მიმდინარეობს მუშაობა მეტყევეობის სფეროში პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტზე. გადაიდგა ნაბიჯები ვადაგასული პესტიციდების ინვენტარიზაციის, შეგროვების, შეფუთვის და უტილიზაციის საქმეში. მუდმივი ყურადღება უნდა დაეთმოს არსებული ხერხების გამოყენებას და დასახული გეგმების განხორციელებას, ასევე უფრო მკაცრ მონიტორინგსა და შესრულებას.
ძირითად პრობლემად რჩება ადმინისტრაციული შესაძლებლობების ზრდა ყველა დონეზე. ხელისუფლების შტოებს შორის კოორდინირებას მეტი ყურადღება სჭირდება მაშინაც კი, თუ გარკვეული ღონისძიებები გულისხმობს თანამშრომლობას გარემოს დაცვის და ჯანდაცვის სამინისტროებს შორის რადიაციის შემცველი სამედიცინო დანადგარების ლიცენზირების საკითხში. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა გარემოსდაცვით სფეროში განსახილველი საკითხების პოლიტიკის სხვა სექტორებში, მაგ. რეგიონულ განვითარებაში, ინტეგრირების საქმეში.

მომზადდა გარემოს დაცვის სფეროში შექმნილი სიტუაციის 2006 წლის ანგარიში, თუმცა ის არც ოფიციალურად ყოფილა მიღებული და არც გამოქვეყნებულა. მიუხედავად ამისა, 2006–2009 წლების ანგარიშის მომზადების მიზნით, გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ანგარიშების მომზადების შესახებ მითითებების დახვეწის მიმართულებით. მოსახლეობის ინფორმირების სფეროში საქართველო სხვა ტიპის საქმიანობასაც ეწეოდა. *(კავკასიის რეგიონულ საინფორმაციო ცენტრის შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ თავი რეგიონული თანამშრომლობის შესახებ).*

გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე მიმართული საქმიანობა არ განხორციელებულა. სახელმწიფო პროექტები კვლავაც გათავისუფლებულია ასეთი შეფასების ჩატარების ვალდებულებისგან. მიუხედავად ამისა, გადაიდგა ნაბიჯები სტრატეგიული გარემოსდავითი შეფასების ხელშეწყობისკენ. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საზოგადოებასთან კონსულტირება და ამ საკითხში პროცედურების შემუშავება.

მოსამზადებელი ნაბიჯები გადაიდგა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის საწარმოო შემთხვევებით გამოწვეული ტრანსსასაზღვრო შედეგების შესახებ კონვენციასთან შეერთების და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადების და საერთაშორისო ტბების დაცვის და გამოყენების შესახებ კონვენციის რატიფიცირების საკითხში. არ განხორციელებულა რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის დარჩენილი კონვენციების თუ ოქმების მიღების თუ რატიფიცირების თვალსაზრისით.[1] უფრო მეტიც, რამდენიმე რატიფირებული კონვენციის განხორციელებასაც მეტი ყურადღება ესაჭიროება. საქართველო მონაწილეობდა დუნაი–შავი ზღვის (DABLAS) სამუშაო ჯგუფში, წყლის ინიციატივაში, ასევე ეროვნული პოლიტიკის სფეროში დიალოგის წარმართვასა და შავი ზღვის დაბიუნძურებისგან დაცვის საერთაშორისო კომისიაში.

ევროკომისიასა და საქართველოს შორის მიმდინარეობდა თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა წყლის, მეტყევეობის, ნარჩენების მართვის, გარემოს დაცვის, ბუნების დაცვის და ჰაერის ხარისხის სფეროებში.

სამოქალაქო დაცვის საკითხში მთავრობამ მიიღო რისკების შეფასების ყოველწლიური პროგრამა; დაიწყო ყოველწლიური სახელმწიფო პროგრამის განხორციელება რეგიონული მართვის სამინისტროს ფარგლებში გადაუდებელი ღონისძიებების მართვის და საძიებო და სამაშველო ჯგუფების ჩამოყალიბების მიზნით.

საინფორმაციო საზოგადოებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისია არეგულირებდა სიხშირეებსა და ზღვრებს საბაზრო პირობების გათვალისწინებით. თუმცა, მთავრობა მაინც ახდენდა ზემოქმედებას ფიქსირებული ხაზის ამჟამინდელ ოპერატორზე, რომელიც საერთაშორისო ზარებს ახორციელებს. ადგილობრივ და საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურებას სხვა ოპერატორი ახორციელებდა და დომინირებდა ფიქსირებული კავშირის ბაზარზე. ინტერნეტმომსახურების ბაზარზე ალტერნეტიულ ოპერატორს 80% უკავია. 2009 წლის მაისში კომისიამ 1800 მგჰც GSM ოპერტორს ლიცენზია ათი წლით გაუგრძელა.

რუსეთი ფედერაციამ და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2009 წლის სექტემბერში ხელი მოაწერეს მემორანდუმს კომუნიკაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ინფორმაციის თანახმად, რუსეთის ფედერაციამ უფლება მისცა დე ფაქტო ხელისუფლებას გამოიყენოს რუსული სატელეფონო კოდები როგორც ფიქსირებული, ისე ბოჭკოვანი ოპერატორებისთვის. ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის სტანდარტებს.

საქართველოს **აუდიოვიზუალური** კანონმდებლობა ჯერ კიდევ საჭიროებს მედიის რეგულირების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ამ მიმართებით გადამწყვეტი ნაბიჯებია გადასადგმელი. საქართველომ ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება უნდა მოახდინოს.

გაიზარდა საქართველოს მონაწილეობა **კვლევის** მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში (FP7), რომელშიც 2009 წლის ნოემბრისთვის 23 კვლევითმა ჯგუფმა ევროკავშირიდან 1.6 მლნ ევროს ოდენობის დაფინანსება მიიღო.

აღმოსავლეთი და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერების და ტექნოლოგიის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის ფარგლებში საქართველოს მეცნიერების ეროვნულმა ცენტრმა 2009 წლის ივნისში თბილისში საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა. ამ ღონისძიებამ აამაღლა საქართველოს და

კავკასიის რეგიონის სამეცნიერო საზოგადოების გათვითცნობიერებულობა ამ საკითხში, აგრეთვე, გააცნო მეცნიერებს მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში მეცნიერების დარგში პარტნიორობის შესაძლებლობები, კვლევითი თანამშრომლობა ,,გარემოსა" და ,,ადამინთან" დაკავშირებულ თემებზე.

7. ადამიანებს შორის კონტაქტები, განათლება და ჯანდაცვა

რეფორმები უმაღლესი **განათლების** სფეროში წელსაც მიმდინარეობდა, ისევე, როგორც 2008 წელს. ძირითადი ყურადღება ეთმობოდა ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას ბოლონიის სტრანდარტების შესაბამისად. ბოლონიის პროცესის განხორციელებისთვის საჭირო პოტენციალის გაძლიერების მიზნით, 2009 წლის ივნისში დაიწყო,,დაძმობილების" ორწლიანი პროექტი.
2009 წლის აგვისტოში შესწორებები შევიდა კანონში უმაღლესი განათლების შესახებ, რითაც მოხდა უმაღლეს საგანმანათლებლო ორგანიზაციების დიფერენცირება მათი კვლევითი და საგანმანათლებლო შესაძლებლობების მიხედვით. 2009 წლის ივნისსა და ოქტომბერში შეიქმნა რექტორთა ორი საბჭო – ერთი სახელმწიფო, მეორე კი კერძო უნივერსიტეტებისთვის. მათი საშუალებით განმტკიცდა უნივერსიტეტების ავტონომია და სახელმწფოსთან დიალოგის წარმართვის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულება და უნივერსიტეტი იცნობს ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, სისტემურ რეფორმას სჭირდება ეროვნულ დონეზე კოორდინირება და დამატებითი შეთახმება, რომელიც დაეხმარება ამ პროცესის განხორციელებას.
პროფესიული განათლების და ტრეინინგის სფეროთი დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური კონსულტაციების შედეგად, დეკემბერში დამტკიცდა 2009–2011 წლების ეროვნული შუალედური სტრატეგია პროფესიული განათლების და ტრეინინგის სფეროში. შეიქმნა პროფესიული განათლების და ტრეინინგის ეროვნული საბჭო, რომელმაც შექმნა მხარეებს შორის უკეთესი კოორდინირების და სოციალურ პარტნიორებთან კავშირების დამყარების პერსპექტივა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტრეინინგის სისტემამ უზრუნველყოს ისეთი პროფესიების განვითარება, რომლებიც უკეთ ეხმიანება დამსაქმებლის მოთხოვნებს *(იხ. თავი 3 დასაქმებასა და სოციალური პოლიტიკის შესახებ).*
განათლების და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობით გადაიდგა შემდგომი ნაბიჯები მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული სტრანდარტების და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავების სფეროში.
საქართველო განაგრძობდა აქტიურ მონაწილეობას პროგრამებში ,,ტემპუსი," ,,ერაზმუს მუნდუსი" და ,,ახალგაზრდობა მოქმედებს". დეკემბერში ჩატარდა საინფორმაციო სემინარი ,,ტემპუსის" ფარგლებში, რაც შეეხება ,,ერაზმუს მუნდუსს", საჭიროა, რომ ინფორმაცია მისი გრანტების შესახებ უფრო მეტი პოტენციური მონაწილესთვის გახდეს ხელმისაწვდომი. დაწყებულია მუშაობა თბილისში ეროვნული ახალგაზრდული საინფორამციო ცენტრის შექმნაზე. 2010 წელს დაგეგმილია ფილიალების გახსნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. მხოლოდ ერთმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა ,,ჟან მონეს" პროგრამაში. სასურველია, რომ ქართულმა უნივერსიტებმა, განაგრძონ განაცხადების წარდგენა ,,ჟან მონეს" პროექტების განსახორციელებლად ფარგლებში. ,,ერაზმუს მუნდუსის" ,,მოქმედება 1"–ის ფარგლებში ცხრა ქართველმა სტუდენტმა და ორმა მეცნიერმა მიიღო სტიპენდია 2009–2010 წლების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. ,,მოქმედება 2"–ის საშუალებით მოხდა სტუდენტების და მეცნიერების მობილურობის ხელშეწყობა და ამ მიზნით 58 გრანტი გამოიყო. ,,ტემპუს IV " –ს მეორე კონკურსის ფარგლებში ოთხი პროექტი შეირჩა, ხოლო დეკემბერში ტემპუსის საინფორამციო დღე ჩატარდა. დაწყებულია მუშაობა თბილისში ეროვნული ახალგაზრდული საინფორმაციო ცენტრის შექმნაზე. 2010 წელს დაგეგმილია ფილიალების გახსნა საქარველოს სხვადასხვა რეგიონში. ერთმა უნივერსიტეტმა მიიღო მონაწილეობა ,,ჟან მონეს" პროგრამაში. სასურველია, რომ ქართულმა უნივერსიტეტებმა, განაგრძონ განაცხადების წარდგენა პროექტების განსახორციელებლად ,,ჟან მონეს" ფარგლებში.
კულტურის სფეროში საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა და კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებმა, ევროკავშირთან და სამეზობლო პოლიტიკის სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ რამდენიმე თანამშრომლობის პროექტში. სასურველია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის და კიევის ინიციატივის ფარგლებში რეგიონული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველომ ხელი მოაწეროს და

რატიფიციება მოახდინოს 2000 წლის ევროპული ლანდშაფტის კონვენციის და ევროპის საბჭოს 2005 წლის ჩარჩო კონვენციისა საზოგადოებაში კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების შესახებ. საქართველოს კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღეს კულტურის პროგრამის ფარგლებში 2009 წელს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სპეციალური ღონისძიებების კონკურსში.

საქართველო აგრძელებდა რეფორმებს **ჯანდაცვის** სექტორში, რომელთა მიზანია, მათ შორის, ეფექტურობის გაზრდა და ადექვატური ჯანდაცვის მომსახურების გაწევა ადამიანთა ყველაზე ნაკლებად დაცული ჯგუფებისთვის. რეფორმა მოიცავდა ჯანდაცვის პირველადი და მეორადი ობიექტების პრივატიზებაზე ზრუნვას. 2009 წელს საქართველომ წამოიწყო უფასო გადაუდებელი ჯანდაცვის სახელმწიფო და სამედიცინო დაზღვევის პროგრამები. დაზღვევის პროგრამამ წვლილი უნდა შეიტანოს უშუალოდ პაციენტის მიერ დაფინანსების წილში. 2009 წლის ნოემბერში წარმოდგენილი იქნა სამედიცინო რეფორმის კონცეფცია. იმავე თვეში საქართველოში ჩატარდა ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების პირველი კვლევა. 2009 წლის მაისში შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო მუშაობა მონიტორინგის და შეფასების ეროვნულ ჩარჩოზე აივ/შიდსისთვის. 2009 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი აივ/შიდსის შესახებ. საქართველომ გადადგა A (H1N1) ვირუსთან ბრძოლაზე მიმართული ნაბიჯები, აგრეთვე შეიმუშავა გაიდლაინები და ვაქცინაციის სტრატეგია. 2009 წლის ოქტომბერში საქართველომ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის ჯანდაცვის ახლადშექმნილი გაფართოებული კომიტეტის მუშაობაში.

8. ფინანსური თანამშრომლობა – 2009 წლის ძირითადი ფაქტები და ციფრები

2007–2010 წლების ეროვნული ინდიკატური პროგრამის თანახმად, ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში საქართველოსთვის გათვალისწინებული დახმარების პაკეტი 120.4 მილიონი ევროა. ეს პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმაში ასახული პოლიტიკური პრიორიტეტების მხარდაჭერას და ოთხ პრიორიტეტს ეხმიანება, ესენია: 1. დემოკრატიული განვითარება, კანონის უზენაესობა და მმართველობა; 2. ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება; 3. სიღარიბის შემცირება და სოციალური რეფორმები და 4. საქართველოს შიდა კონფლიქტების მშიდობიანი მოგვარების მხარდაჭერა.

მიმდინარეობს 2007 და 2008 წლების სამოქმედო პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. 2007 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაფინანსდა საჯარო ფინანსების მართვის სექტორული საბიუჯეტო დახმარების პროგრამა, ხოლო მისი ბოლო ტრანში 2009 წლის მიწურულს გადმოირიცხა. 2008 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაიწყო სექტორული საბიუჯეტო დახმარების პროგრამა სამართლის სფეროში. მისი მეორე ტრანში 2009 წლის დეკემბერში მას შემდეგ გადმოირიცხა, რაც მთავრობამ განახორციელა ძირითადი რეფორმები სამართლის და მასთან დაკავშირებულ სფეროებში, როგორციაა პრობაცია, არასრულწლოვანთა სამართალი და ადამიანის უფლებების დაცვა.

2009 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტიდან ევროკომისიამ საქართველოსთვის 27.4 მლნ ევროს ოდენობის დახმარება დაგეგმა. მასში ძირითადი ყურადღება ეთმობა სექტორულ საბიუჯეტო დახმარებას პროფესიულ განათლებასა და ტრეინინგში (19 მლნ ევრო) და ტექნიკური დახმარების/დაძმობილების კომპონენტს (8.4 მლნ ევრო).

2011–2013 წლებში თანამშრომლობის სფეროში განსახორციელებელი საქმიანობისთვის გათვალისწინებულია 180.3 მლნ ევროს ოდენობის ინდიკატური ფინანსური პაკეტი. ეს გადაწყვეტილება 2010 წლის მარტში იქნა მიღებული.

ყოველწლიურ სამოქმედო გეგმასთან ერთად, ევროკომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე 2009 წლის ნოემბერში დამტკიცდა ,,საგანგებო ზომები“ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ასე რომ დამატებით 43.5 მლნ ევრო იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრირებას და მათ მასპინძელ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანთა დახმარებას მოხმარდება. ეს მესამე ,,საგანგებო ზომებია“, რომელიც ევროკავშირმა საქართველოსთვის 2008 წლის საქართველო–რუსეთის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ გამოყო. წინა ორი დაფინანსება საქართველოს, გრანტის სახით, სპეციალურად იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად გამოეყო. 2009 წელს 61.5 მილიონი ევრო გამოიყო, საიდანაც თითქმის 50 მლნ ევრო უკვე გადმოირიცხა. ეს თანხა ძირითადად მიზნად

ისახავდა ყველა იძულებით გადაადგილებული პირის ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფას. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ,,საგანგებო ზომების“ გარდა, 2009 წელს ,,სტაბილურობის ინსტრუმენტის“ ფარგლებში გამოიყო 14 მლნ ევრო, რომელიც მოხმარდება (i) კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენაზე გამიზნული საქმიანობის მხარდაჭერას, (ii) იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ–ეკონომიკურ ინტეგრაციას, (iii) წვლილის შეტანას დემოკრატიულ რეფორმებში და (iv) სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაზრდას გალის რაიონში.
დამატებითი პოსტკონფლიქტური დახმარების ფარგლებში, ევროკომისიამ საქართველოს გრანტის სახით 46 მლნ ევროს ოდენობის მიკროსაფინანსო დახმარება გამოუყო, საიდანაც 2009 წელს თანხის 50% უკვე გადმორიცხულია. ეს ხელს უწყობს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ გაჯანსაღებას და, ამ გზით, ეხმარება მთავრობას ეკონომიკური პროგრამის განხორციელებისას შექმნილი სირთულეების დაძლევაში.
ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში გაწეული ფინანსური დახმარების პარალელურად, საქართველო სარგებლობდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში დაფინანსებული რამდენიმე ქვეყნისთვის შემუშავებული და რეგიონული პროგრამებით, აგრეთვე, ისეთი ჰორიზონტალური თემატური პროგრამებით, როგორიცაა ადამიანის უფლებების და დემოკრატიის ევროპული ინსტრუმენტი, თანამშრომლობის დეცენტრალიზებული ინსტრუმენტი და მისი პროგრამები ,,არასახელმწიფო აქტორები და ადგილობრივი ხელისუფლება განვითარებისთვის“ და ,,სასურსათო უზრუნველყოფა.“ საქართველო მონაწილეობს, აგრეთვე, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამაში ,,შავი ზღვა“ (2007–2013 წლებში მთელი პროგრამისთვის გამოყოფილია დაახლოებით 18 მლნ ევრო). ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამის პრიორიტეტი არის ტრანსსასაზღვრო დახმარების გაწევა ეკონომიკური განვითარების და ქსელების შექმნისთვის და გარემოს დაცვის და კონსერვაციის შესაძლებლობების განმტკიცება, აგრეთვე, ერთიანი კულტურული გარემოს შექმნა რეგიონში. 2009 წელს საქართველოდან რვა განაცხადი იყო წარდგენილი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტლილებები ჯერ არ არის მიღებული.
სამეზობლოს საინვესტიციო მექანიზმის ფარგლებში 2009 წელს საქართველოსთვის ერთი პროექტი დამტკიცდა, რომელიც 8.5 მლნ ევროს ოდენობის გრანტის და ტექნიკური დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს; მოსალოდნელია, რომ ეს თანხა დაეხმარება საქართველოს ევროპული საფინანსო ინსტიტუტებიდან სატრანსპორტო სექტორში 250 მლნ ევროს ოდენობის სესხების მოზიდვაში.
დაძმობილების ინსტრუმენტი საქართველოში 2007 წლიდან შემოვიდა და 2009 წლის განმავლობაში თანდათანობით განვითარდა. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ თავშეკავებას იჩენს მის გამოყენებასთან დაკავშირებით, ამიტომ, დაძმობილების პროექტების იდენტიფიცირების და ახალი პროექტების მომზადების ტემპი ძალზე შენელებულია.
მთავრობის ძალისხმევა დონორთა კოორდინირების საქმეში ჯერ კიდევ სუსტია. კოორდინირება, ძირითადად, ფინანსური აღრიცხვითა და მხოლოდ რამდენიმე სექტორის კოორდინირებით შემოიფარგლება. მთავრობამ არ მიიღო სათანადო მონაწილეობა საგარეო დახმარების პროგრამების დაგეგმვაში, მათ მონიტორინგსა და შეფასებაში. განსხვავებით სხვა დონორების მიერ გაწეული დახმარებისა, ევროკომისიის დაფინანსების კოორდინირებას ახდენდა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციიის სამინისტრო, თუმცა სამინისტრო კადრების სერიოზულ ნაკლებობას განიცდის და ეს ასუსტებს მის საზედამხედველო და მაკოორდინირებელ როლს.
საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ხელს უწყობდა დახმარების კოორდინირების საკითხებს. ამ მიზნით, მან დაიწყო ინფორმაციის შეგროვება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქმიანობის შესახებ და შექმნა კონკრეტული სექტორული სამუშაო ჯგუფები უკეთესი კოორდინირებისა და მთავრობის ხელშეწყობის მიზნით; ასევე, იმისთვის, რომ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს დონორთა კოორდინირებასა და პარიზის დეკლარაციის პრინციპების შესრულებაში დახმარების ეფრექტიანობის და ევროკაშირის ქცევის კოდექსის შესაბამისად.